

**ახალგაზრდობის
საჭიროებების, გამოწვევების,
ინტერესების და რესურსების
კვლევა**

დმანისის მუნიციპალიტეტი

2020



სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს - „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც 11 მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას. პროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტშიც ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა.

სარჩევი

კვლევის ძირითადი მიგნებები	2
შესავალი	9
მეთოდოლოგია.....	10
თვისებრივი კვლევის შედეგები	13
ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები	13
ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები	17
ახალგაზრდების ჩართულობა.....	19
მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები.....	20
დასკვნა.....	21
რაოდენობრივი კვლევის შედეგები.....	25
ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები	25
სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება.....	25
მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები.....	27
საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა.....	28
დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები	29
გართობისა და დასვენების შესაძლებლობები	32
მოხალისეობა.....	34
სპორტული აქტივობები	36
მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება.....	38
ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა	38
მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები	38
დასკვნა.....	40
დანართი.....	44

კვლევის ძირითადი მიგნებები

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება

- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 31% ამბობს, რომ სამოქალაქო აქტიურობის თვალსაზრისით აქტიური ან ძალიან აქტიურია, მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს გამოკითხული ახალგაზრდების 36%, ხოლო 33% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური.
- მათგან, ვინც აცხადებს, რომ სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით არის აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური, 44% ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, 19% აცხადებს, რომ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, 17% კი ამბობს, რომ მოისმინა მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.
- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. დაახლოებით მესამედი (32%) კი ამბობს, რომ პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებულია.
- გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი (50%) ფიქრობს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია. 30%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული, ხოლო რესპონდენტთა 20% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებული არ არის.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. რესპონდენტთა ნაწილი ამბობს, რომ ახალგაზრდებს მოტივაცია არ აქვთ, რომ ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, უნდა ეწყობოდეს შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის, რათა ისაუბრონ პრობლემებზე და გაცვალონ იდეები.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდები არ არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, თუმცა რესპონდენტი ამბობს, რომ ცდილობს, ახალგაზრდები ჩართოს სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში და გაიგოს მათი მოსაზრებები. აქვე აღნიშნავს, რომ პასიური ახალგაზრდების აქტივობებში ჩართვა განსაკუთრებით რთულია.

მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით (74%) და ადგილობრივი ხელისუფლებისგან (42%) იღებენ. ინფორმაციის მიღების წყაროდ ასევე დასახელდა ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (29%) და ტელევიზია (19%). გამოკითხულთა 3% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას.
- რესპონდენტების უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. მათგან 43%-ს 18-

25 წლის ახალგაზრდები, ხოლო 28%-28%-ს კი 14-17 წლისა და 26-29 წლის ახალგაზრდები წარმოადგენენ.

- რაც შეეხება იმის მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთვნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხული ახალგაზრდების 36% ამბობს, რომ არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, ხოლო 20% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია.
- იმ შემთხვევაში, როცა გამოკითხული ახალგაზრდები ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთვნენ (38%), ნახევარზე მეტი ამბობს, აქტიურად იყო ჩართული. 48%-ის განცხადებით ჰკითხეს აზრი, 46%-ის განცხადებით, მიაწოდეს ინფორმაცია, ხოლო 10% თვლის, რომ მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.
- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (56%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში.
- ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, თვისებრივ კვლევაში მონაწილე არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ სმენია დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს არის მორგებული. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს, ჯგუფის მცირე ნაწილს სმენია მსგავსი აქტივობების შესახებ.
- რაც შეეხება კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ინფორმირებულობას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, მათი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ევროპელების“ შესახებ საუბრობს და აღნიშნავენ, რომ ორგანიზაცია ინტელექტუალურ და სპორტულ ღონისძიებებს სთავაზობს ახალგაზრდებს, ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებისთვის განათლების მიღების წახალისებას.
- დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს, როგორც გასართობ, ისე საგანმანათლებლო პროექტებს. რესპონდენტის თქმით, ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ უფასოდ ისწავლონ ინგლისური და ქართული ენები. გარდა ამისა, არსებობს კულტურული ცენტრიც, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ჩართული არიან კულტურული აქტივობებში. რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდების სოფლებიდან ტრანსპორტირებას სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში, მაგალითად, სპორტსკოლაში, სამუსიკო სკოლაში და სხვა ტიპის წრეებში. გარდა ამისა, მერიის წარმომადგენლის განცხადებით, მსგავსი წრეები უფასოა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის. რაც შეეხება გასართობ აქტივობებს, რესპონდენტის თქმით, ეწყობა შემეცნებითი ფილმების ჩვენება და ტარდება ხოლმე კონცერტები.
- კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად არაფორმალური განათლების მიღებასა და ინტეგრაციის მხარდამჭერ პროექტებს სთავაზობენ ახალგაზრდებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიხედვით, ახალგაზრდებს სხვადასხვა თემაზე ტრენინგებს,

სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებს სთავაზობენ. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, გასართობ აქტივობებს, მაგალითად, კინოჩვენებას სთავაზობენ ხოლმე ახალგაზრდებს.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებზე საუბრისას სხვადასხვა საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი აზრით, პრობლემური საკითხებია: უმუშევრობა და განათლების ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტირების პრობლემა, ახალგაზრდების მუნიციპალიტეტიდან გადინების, მიგრაციის პრობლემა, გასართობი ადგილების ნაკლებობა, სავარჯიშო სივრცეების არარსებობა, ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის არარსებობა, სადაც შეკრებასა და მსჯელობას და/ან მეცადინეობას შეძლებენ, მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი და მედიცინის მუშაკების არაკვალიფიციურობა.
- კვლევაში მონაწილე ორივე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ასევე ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობის შემთხვევაში კვლავ გამოწვევად რჩება ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხი და გოგოებისთვის აქტივობებში ჩართულობის ნების შეზღუდვა. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემასა და არსებულ ენობრივ ბარიერს. ტრანსპორტირების პრობლემას გამოყოფს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და ამბობს, რომ ყველა სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის.
- რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, რესპონდენტის აზრით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევაა ინფორმაციისა და სიახლეების მიღება. მისი თქმით, ახალგაზრდები არ არიან აქტიურები, საინფორმაციო შეხვედრების დროს ნაკლებად ერთვებიან განხილვებში. გარდა ამისა, გამოწვევაა უმუშევრობის დაძლევა და ინფრასტრუქტურული საკითხები - ახალგაზრდებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და კინოთეატრის ფუნქციონირება სჭირდებათ. რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაც არსებობს. მერიის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გამოწვევები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვითაც. მისი თქმით, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები უდგათ, როგორცაა მაგალითად, სოფელში აფთიაქის ფუნქციონირება, მაშინ როცა ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდას მსგავსი საკითხი არ აწუხებს.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

- დმანისში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (68%) კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით.
- რესპონდენტების 41% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ.

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (57%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს.
- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ კომპიუტერთან (81%) და ინტერნეტთან (88%) წვდომა ყოველდღიურად აქვს.
- რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით (64%), სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (59%), გასართობად (57%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ (56%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი და ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები არსებობს. გარდა ამისა მერიის წარმომადგენლის თქმით, გამოწვევაა განათლების ხელმისაწვდომობაც, რის გამოც ახალგაზრდები დედაქალაქში მიდიან და უკან აღარ ბრუნდებიან. რესპონდენტის თქმით, მოსახლეობის ეთნიკურად აზერბაიჯანულ ნაწილში შეინიშნება განათლების მიღებისადმი ნაკლები ინტერესი და ნაადრევი ქორწინების ფაქტები. რესპონდენტის თქმით, სოფლებში განათლების ხელმისაწვდომობაც ნაკლებია, ვიდრე ქალაქში, ერთ-ერთ სოფელში, რომელიც რეგიონული ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს, სკოლაში არ ჰყავთ ისეთი ხელოვნების დარგის მასწავლებლები, როგორცაა ხატვა, სიმღერა და ცეკვა.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (47%) ამბობს, რომ დასაქმებულია.
- გამოკითხულთაგან, 18-25 წლის ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (32%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 41% ეძებს სამსახურს, 27% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-29 წლის რესპონდენტთა უმრავლესობა (75%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეხუთედი (21%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.
- დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 39% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 46% - კერძო ორგანიზაციაში.
- კვლევის ფარგლებში გამოკითხული, დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით, 15% არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი სამუშაოსადმი, 9% კი უკმაყოფილოა.
- გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული (53%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას, დასაქმების სერვისების არარსებობასა და ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებენ.
- კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და სტაჟირების შესაძლებლობა დაასახელეს.

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი დასაქმებას ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევენ. მათი თქმით, დმანისში სამსახურის პოვნა მხოლოდ ბანკში, სკოლასა და მერიაშია შესაძლებელი.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- ყოველი მეოთხე გამოკითხული ახალგაზრდა (25%) დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობებით უკმაყოფილოა.
- რესპონდენტთა 52% კმაყოფილია მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით, უკმაყოფილებას კი მხოლოდ 14% გამოთქვამს.
- კვლევის თანახმად, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (71%), კითხულობენ წიგნს (41%) და უსმენენ მუსიკას (42%).
- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის, ახალგაზრდობის კლუბისა და ბანაკების ფუნქციონირება სურთ.
- რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) ამბობს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს.
- ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ თავისუფალ დროს სახლში ატარებენ და ისურვებენ ისეთ გასართობ და შემოქმედებით სივრცეებს, სადაც სხვა ახალგაზრდებთან ერთად შეძლებენ შეკრებას და დროის გატარებას.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობის (63%) განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. ახალგაზრდების მესამედი (33%) აცხადებს, რომ საქართველოში განხორციელებულ მოხალისეობრივ აქტივობებში მიუღია მონაწილეობა, ხოლო 1% ამბობს, მონაწილეობა საზღვარგარეთ მოხალისეობრივ აქტივობებში აქვს მიღებული.
- მათგან, ვინც ამბობს, რომ მიუღია გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (37%), 54% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედი (19%) აცხადებს, რომ ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 7% - კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში.
- მოხალისეობის მოტივად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ (75%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 37%-მა - სიახლეების სწავლა, 36%-მა - ახალი ადამიანების გაცნობა, 34%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, ხოლო 31%-მა - თავისუფალი დროის სასარგებლო საქმეებისთვის დახარჯვა.
- ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (63%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 27%

აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის საკმარისი დრო, 5%-ს არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში.

სპორტული აქტივობები

- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 48%-ის განცხადებით, საერთოდ არ არის სპორტული აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა მეხუთედი (20%) კი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (49%) სურვილი აქვს, ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის, ყველაზე ხშირად ცურვას (12%) და ფრენბურთს (8%) ასახელებენ.
- იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად სურვილის არარსებობას (50%) და არასაკმარის დროს (27%) ასახელებენ.

მაგნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს (82%), არ მოიხმარს ალკოჰოლსა (76%) და მარიხუანას (91%), ხოლო 87% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები.
- რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს. მამრობითი სქესის წარმომადგენელთა მეოთხედზე მეტი - 40% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 9% აცხადებს იმავეს.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ მათი მეგობრების ნაწილი ან ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (76%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (81%).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

- გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (49%) აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) აცხადებს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია.
- ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (26%), ამის მიზეზად 31% ასახელებს იმას, რომ ექიმისთვის მიმართვა საჭიროდ არ ჩათვალა, ხოლო 25%-ის განცხადებით, მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა.
- გამოკითხულთა 85% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის.
- ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა (15%), ამის ძირითად მიზეზებად მსგავსი მომსახურების

სიძვირეს/არასაკმარისი თანხის ქონასა და არაინფორმირებულობას ასახელებენ იმის შესახებ, თუ ვის მიმართონ.

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი ახლგაზრდა ხაზს უსვამს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში არ არსებობს მედიცინის კვალიფიციური მუშაკები, ხოლო კლინიკა სათანადოდ აღჭურვილი არ არის.

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (61%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან წასვლა არ სურს, 14%-ს კი - სურს, ხოლო დაახლოებით მეოთხედს (26%) ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.
- მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად რესპონდენტები დასაქმების შესაძლებლობას (22%), საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა (16%) და განათლების (15%) მიღებას ასახელებენ.
- რაც შეეხება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, თვისებრივ კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი და ასევე ახალგაზრდები ამბობენ, რომ ახალგაზრდების წინაშე მდგარი დასაქმების გამოწვევის გამო და ასევე, განათლების მისაღებად ახალგაზრდები დედაქალაქში მიდიან, ხოლო უკან აღარ ბრუნდებიან. როგორც ერთ-ერთი ახალგაზრდა განმარტავს, ახალგაზრდების მიგრაცია დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარებას აფერხებს.

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14 წლიდან 30 წლამდე ასაკის 278 ახალგაზრდა. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის

თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-29 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა, კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევის მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. დმანისის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 278 რესპონდენტი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკებია გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში¹ (14-17, 18-25 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

¹ 26-29 წლის ასაკობრივ კატეგორიებთან ფოკუს ჯგუფი ვერ შედგა, ვინაიდან, სავსე სამუშაოების დროში შეზღუდულობიდან გამომდინარე, დადგენილ ვადებში ვერ მოხერხდა აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის ისეთი ახალგაზრდების მოძიება, რომლებიც ფოკუს ჯგუფში მონაწილეობას მიიღებდნენ.

სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდები;
- დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კვლევის ინსტრუმენტები

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით; ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა An EU-funded project under the Skills 4 Jobs -დახმარებით ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

რესპონდენტთა შერჩევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-29 წელია.

დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საერთო რაოდენობაა 4041. კვლევის საერთო შერჩევად განისაზღვრა 250 რესპონდენტი, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 278-მა ახალგაზრდამ.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

თავდაპირველად გამოყოფილი იყო ოთხი ასაკობრივი ჯგუფი: 14-17 წელი, 18-22 წელი, 23-25 წელი და 26-29 წელი, თუმცა არსებული არსებული გარემოებების გათვალისწინებით გამოიყო 3 კვლევი:

- 14-17 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულებას;
- 18-25 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა ახალგაზრდობის გადასვლას პროფესიული განათლებიდან და/ან უმაღლესი განათლებიდან სამუშაო ბაზარზე და პირველ დასაქმებას;
- 26-29 წლის წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი პირველი დასაქმების შემდეგ პერიოდად ითვლება.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

დმანისის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა 11 ივნისიდან 10 აგვისტომდე პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - სექტემბერში.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცემები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

კვლევის შეზღუდვები

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- მაღალია ნაკლები მონაცემების მაჩვენებელი;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს;

გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოცდილება ამ სფეროში 5-6 წელს ითვლის. სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლის კონკრეტულ პოზიციაზე² ყოფნის გამოცდილება კი ნახევარ წელზე ნაკლებია. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 26 წლამდე მერყეობს და დმანისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებს სთხოვეს, ესაუბრათ დმანისის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი **უმუშევრობისა და განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას** ასახელებს. მათი აზრით, დმანისის მუნიციპალიტეტში თითქმის არ არსებობს სამუშაო ადგილები, ხოლო განათლების მიღება განსაკუთრებით გამოწვევაა სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რაც თავის მხრივ **ტრანსპორტის პრობლემას** უკავშირდება. რამდენიმე ახალგაზრდა აღნიშნავს, რომ სხვადასხვა საგანში უწევთ რეპეტიტორებთან მომზადება, თუმცა მათთვის ტერიტორიული გადაადგილება პრობლემურია და გაჩერებებზე ლოდინი უწევთ ხოლმე დიდ ხანს. ერთ-ერთი მონაწილე კი აღნიშნავს, რომ ქალაქისგან შორს მყოფი სოფლები უფრო მოწყვეტილია ქალაქს, რადგან არ არის დანიშნული ტრანსპორტი. გარდა ამისა, უმუშევრობას და განათლების ხელმისაწვდომობის საკითხებს უკავშირდება **მიგრაციის პრობლემაც**, რასაც კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები გამოწვევად მიიჩნევენ. მათი განმარტებით, ახალგაზრდები განათლების მისაღებად და დასაქმებისთვის დედაქალაქში მიდიან, უკან კი აღარ ბრუნდებიან და რეგიონში ვერ ხერხდება ახალგაზრდების შენარჩუნება. მონაწილეთა მცირე ნაწილი **გასართობი ადგილების ნაკლებობაზეც** მიუთითებს. ერთ-ერთი მონაწილე კი **სავარჯიშო სივრცეების არარსებობას** ასახელებს გამოწვევად. ასევე, მცირე ნაწილი ამბობს, რომ **არ არსებობს ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცე**, სადაც შეკრებასა და მსჯელობას და/ან მეცადინეობას შეძლებენ. გარდა ამისა, ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ სოფელს, სადაც ცხოვრობს, არ აქვს პარკი/სკვერი. მონაწილეთა მცირე ნაწილმა **ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაზეც** გაამახვილა ყურადღება. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით კი ზოგიერთ ახალგაზრდას კომპიუტერიც არ აქვს, რაც ონლაინ განათლების მიღებაში განსაკუთრებულად ხელშემშლელი ფაქტორია. ერთი მონაწილე კი ყურადღებას მუნიციპალიტეტში **სამედიცინო მომსახურების დაბალ ხარისხზე** ამახვილებს, მისი განმარტებით, დმანისის მუნიციპალიტეტში **მედიცინის არაკვალიფიციური მუშაკები** არიან, რაც ზოგჯერ ფატალურ შედეგებს იწვევს.

ამჟამად კი ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ თავისუფალ დროს სახლში ატარებენ და ისურვებენ ისეთ გასართობ და შემოქმედებით სივრცეებს, სადაც სხვა ახალგაზრდებთან ერთად შეძლებენ შეკრებასა და დროის გატარებას.

² რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

„ჩემს რაიონში, პირველ პრობლემად მოვიაზრებ უმუშევრობას. ადგილობრივი ახალგაზრდობა არის უმუშევარი და არაფერს არ აკეთებს საერთოდ, ვინც კიდევ სამსახურს ეძებს უფრო მოწყვეტილია დემანისიდან და წასული არის თბილისისკენ. ანუ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა უმუშევრობა და ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - არაკვალიფიცირებული მედპერსონალი, დემანისში არ არის ნორმალური საავადმყოფო. ბევრი ისეთი შემთხვევა ყოფილა, რომ ცუდად დამთავრებულა. არ უნდა ენდო მედპერსონალს.“ (კაცი, 23 წლის, სოფელი ჯავახი, დემანისის მუნიციპალიტეტი)

„აქაც ძირითადი პრობლემა არის განათლების მიღება და ხშირად არის, თუნდაც ჩემხელა ბავშვებში, რომ სჭირდებათ რაიმე საგანში მომზადება, რაშიც ვერ ემზადებიან განათლებაში და ამისთვის უწევთ დემანისში ასვლა. რაზეც გზაში მშობლები ნერვიულობენ, როგორ წავა მათი შვილი და როგორ ჩამოვა... მუნიციპალური ტრანსპორტი ძირითადად არის დანიშნული ისეთ წრეებზე, როგორიც არის: მუსიკა, ცეკვა და ესეთი რაღაცები და კერძო საგნებში მომზადების დროს არ არის ტრანსპორტი დანიშნული, ამიტომ იძულებულები ვართ ბავშვები, ვიართ სხვა მანქანებით და გამვლელი ტრანსპორტით. ძალიან მოუხერხებელია, იმიტომ რომ ბევრ საგანში გვიწევს მომზადება და ერთდროულად ვერ ვამთხვევთ დროს და გვიწევს დიდი ხანი გაჩერებაზე დგომა და იქიდან გვიან ჩამოსვლა.“ (ქალი, 14 წლის, სოფელი განთიადი, დემანისის მუნიციპალიტეტი)

საინტერესოა, რომ არასრულწლოვანი მონაწილეების ძირითადი ნაწილი, ფიქრობს, რომ ახალგაზრდების პრობლემები განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. რესპონდენტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის გამოწვევაა განათლების მიღება, რადგან მათმა ნაწილმა ქართული ენა სათანადოდ არ იცის, თუმცა ქართულენოვან სკოლებში სწავლობენ, რაც მათთვის ხარისხიანი განათლების მიღებაში ხელშემშლელია. გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი ადრეული ქორწინების ტრადიციას მისდევს, რაც მათი აზრით, აზარალებს ახალგაზრდებს. სრულწლოვანი რესპონდენტების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ პრობლემები განსხვავდება ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, არსებობს ისეთი პრობლემები, რომელიც ნაკლებად აწუხებს 15 წლამდე ახალგაზრდებს, მაგალითად, უმუშევრობა.

„ჩემი აზრით, აზერბაიჯანელები განათლებას უფრო რთულად იღებენ, ვიდრე ჩვენ. თუნდაც, იქიდან დაწყებული რომ ენა იმდენად კარგად არ იციან, მაგრამ სწავლობენ ქართულ სკოლებში. მე მყავდა ისეთი კლასელები, რომლებმაც ქართულად რამდენიმე სიტყვა იცოდნენ, თუმცა სწავლობდნენ ჩვენს სკოლაში და ძნელია ასე მაგათთვის, თან ადრე რომ თხოვდებიან განათლებას ვერ იღებენ. არის რამდენიმე ვინც კოლეჯში სწავლობს, მაგრამ ძირითადად მაინც ვერ იღებენ სათანადო განათლებას.“ (ქალი, 17 წლის, ქალაქი დემანისი, დემანისის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებს ზემოთხსენებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მუნიციპალიტეტის როლი ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების გამკლავებაში დიდია. მონაწილეების ძირითადი ნაწილის აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას

სამუშაო ადგილები. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, დმანისში უნდა გაკეთდეს რაიმე საწარმო, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. ასევე, ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტმა საჭიროა, რომ სტაჟის მოთხოვნის გარეშე დაუშვას ახალგაზრდები სამუშაო ადგილებზე, რადგანაც ახალგაზრდები სამუშაო სტაჟის დაგროვებას ვერ ახერხებენ. არასრულწლოვან მონაწილეთა ძირითადი ნაწილი ყურადღებას განათლების მიღების შესაძლებლობასა და ახალგაზრდულ სივრცეებზე ამახვილებენ. მათი აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა თაობისთვის ხარისხიანი განათლების მიღებით. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტმა შესაძლებელი უნდა გახადოს დმანისში უმაღლესი განათლების მიღება. ასევე, ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ დმანისში არსებობს კოლეჯი, სადაც შეიძლება სასწავლო მიმართულებების დამატება, რომ უფრო მეტმა ახალგაზრდამ შეძლოს კოლეჯში სწავლა. გარდა ამისა, ერთ-ერთი მონაწილე, ამბობს, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს უნდა უტარდებოდეთ ტრენინგები, ცხოვრების წესის შესახებ, „რომ შეუძლიათ ისეთი ცხოვრება, როგორც მათ სურთ და არა როგორც მშობელს“ (ქალი, 16 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი). არასრულწლოვანთა ჯგუფის აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს ისეთი სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, მსჯელობას და/ან გართობას. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს. მათი აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა გადაჭრას ტრანსპორტირების პრობლემები და დანიშნოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ასევე ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, საჭიროა, არსებული კლინიკის ახალი ტექნიკით აღჭურვა და მედპერსონალის გადამზადება. გარდა ამისა, ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ სასურველია, მუნიციპალიტეტმა გარდა გასართობი სივრცეებისა, შექმნას სპორტული სივრცეებიც.

„დმანისში არის ერთი კოლეჯი, ჩემი რამდენიმე მეგობარი დადის თუ არ ვცდები საექთნოზე სწავლობენ, რა ვიცი, უფრო მეტი განხრა რომ იყოს იმ კოლეჯში, ესეც დაგვეხმარება. (ქალი, 17 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

„უნდა გაიხსნას რაიმე საწარმო დმანისის რეგიონში, რომ დასაქმდეს ხალხი. სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას, კოოპერატივები უნდა იყოს ბევრი. საავადმყოფოებს უნდა მიაწოდოს მუნიციპალიტეტმა თანამედროვე ტექნიკა და აღჭურვილობა, ჩატარდეს ექიმების რეკვალიფიკაცია.“ (კაცი, 23 წლის, სოფელი ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

არასამთავრობო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების აზრით კი ზოგადად, ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემები განსხვავდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის აზრით, პრობლემები განსხვავდება, როგორც დასახლების ადგილის, ისე ეთნიკური მახასიათებლების მიხედვით. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევაა ინფორმაციისა და სიახლეების მიღება. მისი თქმით, ახალგაზრდები არ არიან აქტიურები, საინფორმაციო შეხვედრების დროს ნაკლებად ერთვებიან განხილვებში და „ძალიან კომპლექსდებიან“. რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდებმა არ იციან თავიანთი როლი. გარდა ამისა, გამოწვევაა დასაქმების საკითხი. დმანისში დასაქმების ადგილები, მისი განცხადებით, მხოლოდ მერია, სკოლა და ბანკია. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ ახალგაზრდები სკოლებში დასაქმებით დაინტერესდნენ. რესპონდენტის აზრით, გამოწვევაა ინფრასტრუქტურული საკითხები -

ახალგაზრდებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და კინოთეატრის ფუნქციონირება სჭირდებათ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაც არსებობს. ასევე, მერიის წარმომადგენლის თქმით, გამოწვევაა განათლების ხელმისაწვდომობაც, რის გამოც ახალგაზრდები დედაქალაქში გაედინებიან და უკან აღარ ბრუნდებიან. განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა არსებობს ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ადგილებშიც. როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, დმანისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ნაწილს ეთნიკურად აზერბაიჯანელები წარმოადგენენ და შეინიშნება განათლების მიღებისადმი ნაკლები ინტერესი და ნაადრევი ქორწინების ფაქტები. რესპონდენტის თქმით, ზოგჯერ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები დაინტერესებული არიან სიმღერის, მათ შორის გალობის ხელოვნებით, ცეკვით, თუმცა ზოგჯერ მათ მშობლები არ რთავენ ნებას, რომ მსგავს აქტივობებში ჩაერთონ. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით, გამოწვევები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვითაც. მისი თქმით, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები უდგათ, როგორცაა მაგალითად, სოფელში ავთიაქის ფუნქციონირება, მაშინ როცა ქალაქ დმანისში მცხოვრებ ახალგაზრდას მსგავსი საკითხი პრობლემად არ მიაჩნია. ასევე, სოფლებში განათლების ხელმისაწვდომობაც ნაკლებია, ვიდრე ქალაქში, რესპონდენტის განცხადებით, ერთ-ერთ სოფელში, რომელიც რეგიონული ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს, სკოლაში არ ჰყავთ ისეთი ხელოვნების დარგის მასწავლებლები, როგორცაა ხატვა, სიმღერა და ცეკვა. სოფლებს გარკვეულწილად ტრანსპორტირების პრობლემაც აწუხებს. ტრანსპორტირების პრობლემას გამოყოფს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც და ამბობს, რომ ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდისგან განსხვავებით სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდას ტრანსპორტირების პრობლემა აქვს, რადგან ყველა სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის. რესპონდენტის თქმით, დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავდება ასევე დასუფთავების პრობლემაც, რომელიც ქალაქში უფრო პრობლემური საკითხია, ვიდრე - სოფელში. კვლევაში მონაწილე ორივე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობის შემთხვევაში კვლავ გამოწვევად რჩება ნაადრევი ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხი და გოგობისთვის აქტივობებში ჩართულობაში ნების შეზღუდვა. გარდა ამისა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემასა და ეთნიკურ უმცირესობებში არსებულ ენობრივ ბარიერს.

„ვიდაც [რომ] ხვდება ეს არის მათთვის ახალი და ძალიან კომპლექსდებიან... ძალიან უჭირთ სიახლის მიღება, რაც ჩემი აზრით, ყველაზე დიდი გამოწვევაა... პრობლემები აქვთ დასაქმების მხრივ. დასაქმების ადგილები არის მხოლოდ მერია, ბანკი და სკოლა. სკოლაში ახალგაზრდები უკვე ნელ-ნელა ცდილობენ დასაქმდნენ. არის განათლების პრობლემა აზერბაიჯანელებში, ნაადრევი ქორწინების პრობლემა. მოსახლეობის უმრავლესობა არის აზერბაიჯანელი... ნაკლებად აინტერესებთ სწავლა/განათლება, ამთავრებენ 9 კლასს და შემდეგ მიდიან ბაქოში, სადაც ნათესაურ ბიზნესში ერთვებიან. მერე აქ ბრუნდებიან და ხსნიან მალაზიებს. ასევე ყველაზე დიდი პრობლემა არის მიგრაცია. ახალგაზრდები მიდიან თბილისში, რადგან აქ არ არის სასწავლებელი და საბოლოოდ აღარ ბრუნდებიან.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

„ეთნიკური, ინტეგრაციის მხრივ არის ძალიან დიდი პრობლემა. ჩვენ და ეთნიკურ აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს შორის. არიან ახალგაზრდები, რომელთაც ინტერესი აქვთ, სურვილიც გააჩნიათ და ერთვებიან აქტივობებში. თუმცა გარკვეული ბარიერები ხელს გვიშლის ხოლმე მათთან ურთიერთობაში... ეს მათ წესებშიც არის, რომ რა ვიცი, გოგოები მეტ-ნაკლებად ერთვებიან ხოლმე აქტივობებში, ძირითადად - ბიჭები. გარდა ამისა, არის ენობრივი ბარიერი.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითად ნაწილს სმენია დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს არის მორგებული. არასრულწლოვანთა ჯგუფი იხსენებს, განხორციელებულ გარემოსდაცვით აქტივობებსა და გასართობ ღონისძიებებს. ერთ-ერთი მონაწილე კი ეთნიკურ უმცირესობებზე მორგებული პროგრამებზეც საუბრობს. ასევე, ერთი მონაწილე „წითელი ჯვრის“ ფარგლებში ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრების დახმარებაზე საუბრობს. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს, ჯგუფის მცირე ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებაზე მორგებული პროექტების შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზების მიერ ორგანიზებული აქტივობების შესახებ სმენია, თუმცა ტრანსპორტირების პრობლემის გამო აქტივობებში ჩართულობა მისთვის რთულია. რაც შეეხება კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ინფორმირებულობას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, მათ ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ევროპელების“ შესახებ საუბრობს და აღნიშნავენ, რომ ინტელექტუალურ და სპორტულ ღონისძიებებს სთავაზობს ახალგაზრდებს, ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებისთვის განათლების მიღების წახალისებას.

„შეჯიბრი ხშირად ტარდებოდა და მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან იშვითად ტარდება. არასამთავრობო ორგანიზაციები ატარებდა ხოლმე. რომ იყოს მაგალითად, კალათბურთში, ფეხბურთში, უფრო აქტიურად ჩაერთვებიან ბავშვები და გასართობიც იქნება“. (ქალი, 15 წლის, ქლაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი).

თავის მხრივ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პროგრამებსა და აქტივობებზე ისაუბრეს, რასაც ახალგაზრდებს სთავაზობენ. ზოგადად, კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად არაფორმალური განათლების მიღებასა და ინტეგრაციის მხარდამჭერ პროექტებს სთავაზობენ ახალგაზრდებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიხედვით, ახალგაზრდებს ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებსა (ვორკშოფებს) და სემინარებს სთავაზობენ სხვადასხვა თემაზე. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, გასართობ აქტივობებსაც აწყობენ ხოლმე ახალგაზრდებისთვის, მაგალითად, კინოჩვენებას. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ მათი მიერ განხორციელებული აქტივობები ძირითადად მოხალისეობრივია, რადგან ამ ეტაპზე არ აქვთ დაფინანსებული პროექტები, თუმცა ახლო წარსულში ჰქონიათ ინტეგრაციის მხარდამჭერი და საგანმანათლებლო პროექტები, მაგალითად, სკოლებში ოლიმპიადების ჩატარება. რაც შეეხება მეორე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, მისი თქმით, პროექტებს

ხშირად USAID-ი აფინანსებს. რესპონდენტების განცხადებით, მათი სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდები არიან.

რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელებას აქტივობების შესახებ, რესპონდენტები მიმართავენ, როგორც ონლაინ გავრცელების გზებს, ისე ინფორმაციის მიწოდებას სკოლებისა და მერიისთვის. ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში ინფორმაციას რესურსცენტრსაც აწვდიან, ხოლო მეორე ორგანიზაციის შემთხვევაში სანაცნობო წრეებს, მათ შორის მოხალისეებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში კი გამოიკვეთა, რომ პასიური ახალგაზრდების აქტივობაში ჩასართავად ორგანიზაციის წევრები პირველ რიგში დასახმარებლად აქტიურ ახალგაზრდებს მიმართავენ, თუმცა როცა ეს ხერხი არ მუშაობს, თავად ხვდებიან არააქტიურ ახალგაზრდებს და უხსნიან კონკრეტული პროექტში მონაწილეობის სარგებელს. მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების საჭიროებებს ითვალისწინებენ, ძირითად შემთხვევებში ინფორმაციას ახალგაზრდებთან პირისპირ შეხვედრებისას იღებენ. ერთ-ერთი რესპონდენტი კი აღნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის წინ ჩაუტარებიათ ახალგაზრდები საჭიროებების კვლევა. როგორც ორგანიზაციების წარმომადგენლების საუბრიდან გამოიკვეთა არ აქვთ შემუშავებული პროექტების შეფასების მექანიზმი.

„ძირითადად გვაქვს ხოლმე პროგრამა PITA, ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა. როგორც მოგეხსენებათ დმანისში ცხოვრობს, როგორც ქართველები, აგრეთვე აზერბაიჯანელები და სომხები. ტარდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები. ეს შეიძლება იყოს ტრენინგები, ვორქშოპები, სემინარები... ვესწრებით, როგორც ქართველი ბავშვები ისე აზერბაიჯანელი ბავშვები. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაწყობთ სხვადასხვა აქციებს. ეს შეიძლება იყოს დასუფთავების, სპორტული ღონისძიებების. ჩვენს პროგრამას აფინანსებს USAID-ი... ამასთან ერთად ჩვენ მართო ერთმანეთს არ ვუტარებთ ტრენინგებს, ჩამოდიან უფრო კომპეტენტური ტრენერები... ინფორმირება ხდება ჩვენი ახალგაზრდული ფეისბუქ გვერდის მეშვეობით. ამასთანავე, სკოლებთან გვაქვს ახლო კავშირი, მერიასთან და რესურსცენტრთან.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს, როგორც გასართობ, ისე საგანმანათლებლო პროექტებს. რესპონდენტის თქმით, ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ უფასოდ ისწავლონ ინგლისური და ქართული ენები. წელს კი ისტორიის სწავლასაც შეძლებენ უფასოდ. რესპონდენტის თქმით, არაფორმალური განათლების კუთხით, ძირითადად სკოლის ასაკის ბავშვები არიან დაინტერესებული, ხოლო 18 წელს ზემოთ ახალგაზრდებს უფრო ფორმალური განათლება აინტერესებთ. გარდა ამისა, არსებობს კულტურული ცენტრიც, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ჩართული არიან კულტურულ აქტივობებში. რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდების სოფლებიდან ტრანსპორტირებას სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში, მაგალითად, სპორტსკოლაში, სამუსიკო სკოლაში და სხვა ტიპის წრეებში. მერიის წარმომადგენლის განცხადებით, მსგავსი წრეები უფასოა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის, ხოლო ვისაც სოციალურად დაუცველის სტატუსი არ აქვს, მათთვის დაბალი გადასახადი იყო დაწესებული, თუმცა ეს

წესიც იცვლება და გადადიან ვაუჩერულ სისტემაზე. რაც შეეხება გასართობ აქტივობებს, რესპონდენტის თქმით, ეწყობა შემეცნებითი ფილმების ჩვენება და ტარდება ხოლმე კონცერტები.

რესპონდენტის თქმით, ინფორმაციას აქტივობების შესახებ სოციალური ქსელების გამოყენებითა და ახალგაზრდებთან შეხვედრებით ავრცელებენ. ახალგაზრდებთან შეხვედრები ასევე ეხმარება მუნიციპალიტეტს, რომ გაიგონ მათი საჭიროებები და დაგეგმონ შესაბამისი აქტივობები. მერიის წარმომადგენელი ეფექტურად მიიჩნევს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს, მისი თქმით, კი ამაზე პროგრამაში ჩასართავად ახალგაზრდების ჭარბი ნაკადი მეტყველებს. რესპონდენტის თქმის, ასევე აქვთ მონიტორინგის მექანიზმიც, რომლის დროსაც ხდება აქტივობებზე დასწრება და ამ გზით აქტივობის სხვადასხვა მახასიათებლის შემოწმება.

„ჩემი აზრით, ყველაზე მაგარი რაც გამოგვივიდა ამ ეტაპზე არის ტრანსპორტირება ახალგაზრდების. სპორტ სკოლაში, მუსიკალურში და ააიპებში გავაკეთეთ ამ ახალგაზრდების ტრანსპორტირება და ყველა სოფლიდან, ვისაც სურვილი აქვს მოდიან და სხვადასხვა წრეებზე დადიან. სოციალურად დაუცველი ბავშვების სრულიად უფასოა წრეებზე სიარული. სხვებისთვის ძალიან მინიმალური იყო გადასახადი და ეხლა უკვე გადავდივართ ვაუჩერულ სისტემაზე. მოხდა ახალგაზრდების ინტეგრაცია და ეს ყველაზე კარგი.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების ჩართულობა

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. ერთი მონაწილე ამბობს, რომ ერთხელ მოეწყო შეხვედრა ქალაქის მერთან და ახალგაზრდებთან, სადაც განიხილეს არსებული პრობლემები. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ახალგაზრდული საკრებულოს წევრი იყო, თუმცა ეს აქტივობა შედეგის მომტანი არ გამოდგა. ახალგაზრდების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდებს მოტივაცია არ აქვთ, რომ ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით - „არ იმართება ისეთი ღონისძიებები, სადაც ჩვენი ჩართულობაა საჭირო.“ (ქალი, 21 წლის, სოფელი ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი). მონაწილეების აზრით, ახალგაზრდები უნდა გააქტიურდნენ, განსაკუთრებით კი განათლების მიღების მიმართულებით, ასევე უნდა დაინტერესდნენ მუნიციპალიტეტის საქმიანობითა და ბიუჯეტის განაწილებით. ერთ-ერთი მონაწილის თქმით კი ახალგაზრდებმა უნდა დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები. გარდა ამისა, ერთი მონაწილე ამბობს, რომ ზოგჯერ ეწყობა სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრი, თუმცა მონაწილეობის მსურველი ახალგაზრდები ნაკლებად არიან. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, უნდა ეწყობოდეს ხოლმე შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის, რათა ისაუბრონ პრობლემებზე და გაცვალონ იდეები.

„უნდა შეხვდნენ ახალგაზრდები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ერთმანეთს, დაილაპარაკონ, განიხილონ. ეს უფრო გამოიღებს შედეგს.“ (კაცი, 23 წლის, სოფელი ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

„ვიყავი დმანისის ახალგაზრდული საკრებულოს წევრი, რამდენად უცნაურადაც დაიწყო ეს ყველაფერი, ისე უცნაურად დამთავრდა. ვერ მივხვდი საერთოდ სად ვიყავი, რატო ვიყავი... კარგი იქნებოდა რეალურად რომ ჩატარებულიყო ეს ყველაფერი.“ (კაცი, 23 წლის, სოფელი ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსაზრებებს, რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდები არ არიან ჩართულნი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, თუმცა რესპონდენტი განმარტავს, რომ ცდილობს, ახალგაზრდები ჩართოს სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში და გაიგოს მათი აზრი, თუ რა ტიპის აქტივობის დაგეგმვა ურჩევნიათ. აქვე აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით რთულია პასიური ახალგაზრდების აქტივობებში ჩართვა.

„არასოდეს არ ყოფილან ჩართულები. არც ერთი დოკუმენტის მომზადებაში... ჩემი აზრით, უკვე მე დავიწყე ახლა ის პროცესი, რომ ეს ახალგაზრდები უშუალოდ ჩავრთე აი, ამ პროცესში. ამას მე ვეძახი ზუსტად ახალგაზრდების ჩართულობას. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მონაწილეობას იღებენ, მოხალისეობაშიც ერთვებიან სხვათა შორის წინა წლიდან. ახალგაზრდების აზრს ვითვალისწინებთ ყველა ღონისძიების ჩატარების დროს. ეხლა შევექმნით დახურული ჯგუფი 14-29 წლამდე, სადაც ვეკითხები ხოლმე თუ რა ფილმი ვაჩვენო და ა.შ. ნაკლებად აქტიური ახალგაზრდების ჩართვა აქტივობებში ძალიან გვიჭირს. ვცდილობ, რომ დავიახლოვო, მაქსიმალურად ჩავრთო.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები

რაც შეეხება თავად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, უფრო მეტი კომუნიკაცია და მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდებთან, ექსკურსიებისა და ბანაკების დაგეგმვა, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ სამომავლო ნაბიჯების დასაგეგმად ბიუჯეტიდან თანხების მობილიზებაც იქნება საჭირო, ამ ეტაპზე კი მიზანს, ახალგაზრდებთან შეხვედრათა ციკლის დასრულება და მათგან ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო გეგმებს, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ მათ ჯერ კონკრეტული სამომავლო გეგმა არ აქვთ შემუშავებული, ხოლო მეორე ორგანიზაციის წარმომადგენლის მიხედვით, გეგმავენ კონკრეტულ აქტივობას - საზაფხულო კინოთეატრს, რომელმაც ახალგაზრდებში მოწონება დაიმსახურა და რომელსაც აპირებენ, რომ პროექტის სახე მისცენ. მათი გეგმით, აღნიშნული პროექტი სხვადასხვა სოფელში განხორციელდება და საზაფხულო მოძრავი კინოთეატრი მოეწყობა. გარდა ამისა, აქტივობების განხორციელება ინტეგრაციის მიმართულებითაც სურთ.

„ალბათ ჩემზე იქნება დამოკიდებული, რომ მაქსიმალურად გავააქტიურო. სრული ჩართულობისთვის ისევ თანხებთან მივდივარ იმიტომ, რომ ბიუჯეტი გვჭირდება რაღაც დონეზე. ჩემი სახსრებით ნაყიდი ყავა იქნება ეს თუ პოპკორნი ოდესღაც შეიძლება შეწყდეს ჩემი მხრიდან. ჩემი აზრით, უფრო მეტი აქტიურობა დამჭირდება, უფრო მეტად ჩართვა რაღაც პროცესებში. უნდა გავაკეთოთ ექსკურსიები, ბანაკი. ჩემი ხშირი კონტაქტი ახალგაზრდებთან და სიახლეების შეტანა იქნება საჭირო... ამ ეტაპისთვის ჩემი მთავარი მიზანი არის, რომ ყველა სოფლის ახალგაზრდას შევხვდე,

*შემდეგ უკვე გადავალ უშუალოდ მოქმედებებზე და ძალიან მინდა, საბოლოოდ ყველა ახალგაზრდა ერთად შევკრიბო და კარგი დღე მოვუწყო, თუნდაც გასვლითი.“
(სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)*

*„სიმართლე გითხრათ გვინდა, უფრო მეტი ჩართულობა ახალგაზრდების მხრიდან და ჩვენი ჩართულობაც. გვინდა, რომ უფრო მეტად გავაქტიურდეთ ჩვენც... ვგეგმავთ საზაფხულო კინოთეატრის მოწყობას. კიდევ რამდენიმე იდეა გვაქვს ინტეგრაციასთან დაკავშირებით. როგორც გითხართ, წელს გვექონდა საზაფხულო კინოთეატრი, ისეთი გამოხმაურება მოყვა და დიდი იყო მოწონება და მოთხოვნა. უმეტესობა გვთხოვდა, მათთანაც ჩავსულიყავით, ამიტომ გადავწყვიტეთ, მივცეთ პროექტის სახე. ეს აქამდე იყო ერთუზიანობაზე, მე და ჩემი მეგობარი ჩავდიოდით უბრალოდ. ეხლა უკვე ვფიქრობთ, მოვამზადოთ პროექტი და საზაფხულო მოძრავი კინოთეატრი მოვაწყოთ.“
(არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)*

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს დადებითი მოლოდინები გააჩნია მუნიციპალიტეტის საქმიანობის მიმართ და იმედოვნებენ, რომ აღნიშნული კვლევის შედეგებს სათანადო რეაგირება მოჰყვება და ახალგაზრდების აზრი გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებში.

"ჩემი აზრით, მუნიციპალიტეტი რაღაც სივრცეს გამოყოფს, ისეთს რომ შევძლებთ ახალგაზრდები ერთად შეკრებას და თუნდაც ბიბლიოთეკის მოწყობას.“ (ქალი, 17 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

"ჩემი აზრით, ეს კვლევა შეცვლის იმას რომ, შეიძლება, ბევრი რაღაც ვერა, მაგრამ რაღაც მაინც გააკეთოს მუნიციპალიტეტმა და გაითვალისწინოს ჩვენი აზრი.“ (ქალი, 15 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

დასკვნა

დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე მუშაობენ. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებს სთხოვეს, ესაუბრათ დმანისის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, პრობლემური საკითხებია: უმუშევრობა და განათლების ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტირების პრობლემა, ახალგაზრდების მუნიციპალიტეტიდან გადინების, მიგრაციის პრობლემა, გასართობი ადგილების ნაკლებობა, სავარჯიშო სივრცეების არარსებობა, ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის არარსებობა, სადაც შეკრებასა და მსჯელობას და/ან მეცადინეობას შეძლებენ. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემა, მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი და მედიცინის მუშაკების არაკვალიფიციურობა.

საინტერესოა, რომ არასრულწლოვანი მონაწილეების ძირითადი ნაწილი, ფიქრობს, რომ ახალგაზრდების პრობლემები განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. რესპონდენტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის გამოწვევაა

განათლების მიღება, რადგან მათმა ნაწილმა ქართული ენა სათანადოდ არ იცის. გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი ადრეული ქორწინების ტრადიციას მისდევს, რაც მათი აზრით, აზარალებს ახალგაზრდებს. სრულწლოვანი რესპონდენტების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ პრობლემები განსხვავდება ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, არსებობს ისეთი პრობლემები, რომელიც ნაკლებად აწუხებს 15 წლამდე ახალგაზრდებს, მაგალითად, უმუშევრობა.

ახალგაზრდებს ზემოთხსენებული გამოწვევების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მუნიციპალიტეტის როლი ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების გამკლავებაში დიდია. მონაწილეების ძირითადი ნაწილის აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, იზრუნოს ახალგაზრდა თაობისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე, გამოყოს ისეთი სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, მსჯელობას და/ან გართობას. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს, მათი აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა დანიშნოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, აღჭურვოს არსებული კლინიკა ახალი ტექნიკით და უზრუნველყოს მედპერსონალის გადამზადება. გარდა ამისა, გამოითქვა მოსაზრებები, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას გასართობი და სპორტული სივრცეებიც.

რაც შეეხება არასამთავრობო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების აზრს, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევაა ინფორმაციისა და სიახლეების მიღება. მისი თქმით, ახალგაზრდები არ არიან აქტიურები, საინფორმაციო შეხვედრების დროს ნაკლებად ერთვებიან განხილვებში. გარდა ამისა, გამოწვევაა უმუშევრობის დაძლევა და ინფრასტრუქტურული საკითხები - ახალგაზრდებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და კინოთეატრის ფუნქციონირება სჭირდებათ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაც არსებობს. ასევე, მერიის წარმომადგენლის თქმით, გამოწვევაა განათლების ხელმისაწვდომობაც, რის გამოც ახალგაზრდები დედაქალაქში მიდიან და უკან აღარ ბრუნდებიან. რესპონდენტის თქმით, მოსახლეობის ეთნიკურად აზერბაიჯანულ ნაწილში შეინიშნება განათლების მიღებისადმი ნაკლები ინტერესი და ნაადრევი ქორწინების ფაქტებიც. რესპონდენტის განცხადებით, გამოწვევები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვითაც. მისი თქმით, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები უდგათ, როგორცაა მაგალითად, სოფელში აფთიაქის ფუნქციონირება, მაშინ როცა ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდას მსგავსი საკითხი არ აწუხებს. ასევე, სოფლებში განათლებაზე ხელმისაწვდომობაც ნაკლებია. რესპონდენტის თქმით, სოფლებს გარკვეულწილად ტრანსპორტირების პრობლემაც აწუხებს. ტრანსპორტირების პრობლემას გამოყოფს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც და ამბობს, რომ ყველა სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის. კვლევაში მონაწილე ორივე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ასევე ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობის შემთხვევაში კვლავ გამოწვევად რჩება ნაადრევი ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხი და გოგოებისთვის აქტივობებში ჩართულობის ნების შეზღუდვა. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემასა და არსებულ ენობრივ ბარიერს.

არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითად ნაწილს სმენია, დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს არის მორგებული. არასრულწლოვანთა ჯგუფი იხსენებს, გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ აქტივობებსა და გასართობ ღონისძიებებს. ერთ-ერთი მონაწილე კი ეთნიკურ უმცირესობებზე მორგებულ პროგრამებზეც საუბრობს. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს, ჯგუფის მცირე ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებაზე მორგებული პროექტების შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზების მიერ ორგანიზებული აქტივობების შესახებ სმენია, თუმცა ტრანსპორტირების პრობლემის გამო აქტივობებში ჩართულობა მისთვის რთულია.

რაც შეეხება კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ინფორმირებულობას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, მათი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ევროპელების“ შესახებ საუბრობს და აღნიშნავენ, რომ ორგანიზაცია ინტელექტუალურ და სპორტულ ღონისძიებებს სთავაზობს ახალგაზრდებს, ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებისთვის განათლების მიღების წახალისებას.

თავის მხრივ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პროგრამებსა და აქტივობებზე ისაუბრეს, რასაც ახალგაზრდებს სთავაზობენ. ზოგადად, კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად არაფორმალური განათლების მიღებასა და ინტეგრაციის მხარდამჭერ პროექტებს სთავაზობენ ახალგაზრდებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიხედვით, ახალგაზრდებს სხვადასხვა თემაზე ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებსა (ვორკშოფებს) და სემინარებს სთავაზობენ. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, გასართობ აქტივობებსაც აწყობენ ხოლმე ახალგაზრდებისთვის, მაგალითად, კინოჩვენებას. რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელებას აქტივობების შესახებ, რესპონდენტი მიმართავენ, როგორც ონლაინ გავრცელების გზებს, ისე ინფორმაციის მიწოდებას სკოლებისა და მერიისთვის. ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში ინფორმაციას რესურსცენტრსაც აწვდიან, ხოლო მეორე ორგანიზაციის შემთხვევაში სანაცნობო წრეებს, მათ შორის მოხალისეებს. მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების საჭიროებებს ითვალისწინებენ, ძირითად შემთხვევებში ინფორმაციას ახალგაზრდებთან პირისპირ შეხვედრებისას იღებენ. ერთ-ერთი რესპონდენტი კი აღნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის წინ ჩაუტარებიათ ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. როგორც ორგანიზაციების წარმომადგენლების საუბრიდან გამოიკვეთა პროექტების შეფასების მექანიზმი შემუშავებული არ აქვთ.

რაც შეეხება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს, როგორც გასართობ, ისე საგანმანათლებლო პროექტებს. რესპონდენტის თქმით, ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ უფასოდ ისწავლონ ინგლისური და ქართული ენები. გარდა ამისა, არსებობს კულტურული ცენტრიც, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ჩართული არიან კულტურულ აქტივობებში. რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდების სოფლებიდან ტრანსპორტირებას სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში, მაგალითად, სპორტსკოლაში, სამუსიკო სკოლაში და სხვა ტიპის წრეებში. გარდა ამისა, მერიის წარმომადგენლის განცხადებით, მსგავსი წრეები უფასოა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის. რაც შეეხება

გასართობ აქტივობებს, რესპონდენტის თქმით, ეწყობა შემეცნებითი ფილმების ჩვენება და ტარდება ხოლმე კონცერტები. მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ინფორმაციას აქტივობების შესახებ სოციალური ქსელების გამოყენებითა და ახალგაზრდებთან შეხვედრებით ავრცელებენ. ახალგაზრდებთან შეხვედრები ასევე ეხმარება მუნიციპალიტეტს, რომ გაიგონ მათი საჭიროებები და დაგეგმონ შესაბამისი აქტივობები.

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, თუ რამდენად არიან ახალგაზრდები ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. მხოლოდ ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ერთხელ მოეწყო შეხვედრა ქალაქის მერთან და ახალგაზრდებთან ერთად განიხილეს არსებული პრობლემები. ასევე, ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდული საკრებულოს წევრი იყო, თუმცა აღნიშნული აქტივობა უშედეგო აღმოჩნდა. ახალგაზრდების ნაწილი ამბობს, რომ ახალგაზრდებს მოტივაცია არ აქვთ, რომ ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, უნდა ეწყობოდეს შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის, რათა ისაუბრონ პრობლემებზე და გაცვალონ იდეები.

იმავე აზრს ავითარებს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლი. რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდები არ არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, თუმცა რესპონდენტი განმარტავს, რომ ცდილობს, ახალგაზრდები ჩართოს სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში და გაიგოს მათი მოსაზრებები. აქვე აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით რთული აქტივობებში პასიური ახალგაზრდების ჩართვაა.

რაც შეეხება თავად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, უფრო მეტი კომუნიკაცია და მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდებთან, ექსპურსიებისა და ბანაკების დაგეგმვა, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ სამომავლო ნაბიჯების დასაგეგმად ბიუჯეტიდან თანხების მობილიზებაც იქნება საჭირო, ამ ეტაპზე კი მიზანს, ახალგაზრდებთან დაგეგმილი შეხვედრების დასრულება და მათგან ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო გეგმებს, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ მათ ჯერ კონკრეტული სამომავლო გეგმა არ აქვთ შემუშავებული, ხოლო მეორე ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ გეგმავენ კონკრეტულ აქტივობას - საზაფხულო მოძრავი კინოთეატრის პროექტის განხორციელებას, რომელმაც ახალგაზრდებში მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა, ინტეგრაციის მიმართულებით სურთ აქტივობების განხორციელება.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს დადებითი მოლოდინები გააჩნია მუნიციპალიტეტის საქმიანობის მიმართ და იმედოვნებენ, რომ აღნიშნული კვლევის შედეგებს სათანადო რეაგირება მოჰყვება და ახალგაზრდების აზრი გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებში.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

დმანისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 278 ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს. მათგან 81 ახალგაზრდა (29%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 129 ახალგაზრდა (46%) - 18-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 26-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 68 ახალგაზრდაა (24%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 52% - მდებარეობითი სქესის, ხოლო 46% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, 2%-მა კი არ ისურვა სქესის მითითება (იხ. დანართი, ცხრილი 2). გამოკითხულთა უმრავლესობა (59%) ქალაქ დმანისში ცხოვრობს, მესამედზე მეტი (39%) - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ხოლო 1% - დაბის ტიპის დასახლებაში (იხ. დანართი, ცხრილი 3).

დმანისში გამოკითხული ახალგაზრდების 28% სკოლის მოსწავლეა, დაახლოებით მეოთხედი (23%) კი სტუდენტია (უნივერსიტეტის სტუდენტი - 20%, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი - 3%). რესპონდენტების 31% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი უკვე დაასრულა, ხოლო 7%-ს მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული (იხ. დანართი, ცხრილი 20).

გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (73%) და არ ჰყავს შვილი (79%). რესპონდენტთა უმრავლესობა (84%) თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს. ხოლო 13% ეთნიკურ აზერბაიჯანელად (იხ. დანართი, ცხრილი 84, 86 და 88).

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება


კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ თავიანთ სამოქალაქო აქტიურობას, გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მცირედით ნაკლები (31%) ამბობს, რომ აქტიურია (ძალიან აქტიური ან აქტიური), მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს გამოკითხულთა 36%, ხოლო 33% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური (იხ. დანართი, ცხრილი 53).

მათგან, ვინც აცხადებს, რომ არის აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით, 44% ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, 19% აცხადებს, რომ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, 17% აცხადებს, რომ მოუსმენია მერის მიერ მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. სხვა პასუხები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 1).

რაში გამოიხატება თქვენი სამოქალაქო აქტიურობა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი




შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახლგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. გამოკითხული ახლგაზრდების 32% ამბობს, რომ დაინტერესებულია, ხოლო 5%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (იხ. დანართი, ცხრილი 49). კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (72%), რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო (69%), ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (იხ. დანართი, ცხრილი 51).

ზოგადად, რესპონდენტთა 20% ფიქრობს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახლგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. 30%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული ახლგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში, ხოლო ნახევარი - 50% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულია (იხ. დანართი, ცხრილი 52).

კვლევისთვის საინტერესო იყო ახლგაზრდების დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური თუ საჯარო ინსტიტუტის მიმართ, რისთვისაც ახლგაზრდებს სთხოვეს, მოენიშნათ არაუმეტეს 5 ინსტიტუტისა, რომელსაც ენდობიან. ყველაზე ხშირად გამოკითხული ახლგაზრდები ნდობას ადგილობრივ მთავრობას (37%), საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას (33%) და საქართველოს მთავრობას (33%) უცხადებენ. სხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობა კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 5).

რომელ პოლიტიკურ, საჯარო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს ენდობით ყველაზე მეტად? (%)
 შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 5 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ამ პროგრამებსა და სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხებს. როგორც ჩანს, დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით (74%) და ადგილობრივ ხელისუფლებისგან (42%) იღებენ, ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე, ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (29%) და ტელევიზია (19%). ყველაზე ნაკლებად რესპონდენტები ინფორმაციას ბეჭდური მედიისა (2%) და რადიო ან პოდკასტის საშუალებით იღებენ (1%). ხოლო, გამოკითხულთა 3% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას (იხ. დანართი, ცხრილი 55).

გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 11% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ინტენსიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენჯერმე მიიღო მსგავს აქტივობაში მონაწილეობა 21%-მა, ერთხელ მიიღო მონაწილეობა 6%-მა, ხოლო არ მიუღია მონაწილეობა 62%-ს (იხ. დანართი, ცხრილი 56). მათგან, ვინც აცხადებს, რომ არ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში,

43%-ს 18-25 წლის ახალგაზრდები წარმოადგენს, 28%-28%-ს კი 14-17 წლისა და 26-29 წლის ახალგაზრდები შეადგენს.

რაც შეეხება იმის მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთვნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხული ახალგაზრდების 36% ამბობს, რომ არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, ხოლო 20% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია (იხ. დანართი, ცხრილი 57_1 და ცხრილი 57_8).

რაც შეეხება ჩართულობის ხარისხს, იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდები ჩაერთვნენ ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში (38%), 52% ამბობს, რომ აქტიურად იყო ჩართული, ხოლო 48% ამბობს, რომ ჰკითხეს აზრი, 46%-ის განცხადებით, ინფორმაცია მიაწოდეს. 10% კი თვლის, რომ მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (იხ. დანართი, ცხრილი 58_1 - ცხრილი 58_6).

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (56%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. 35%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამის შესახებ, ხოლო 10%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამის შესახებ. მათგან ვისაც მსგავს პროგრამაში/პროგრამებში მიუღია მონაწილეობა უმრავლესობა (78%) დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს (ძალიან დადებითად - 23%, დადებითად - 55%) (იხ. დანართი, ცხრილი 14 და ცხრილი 15).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუძღრათ თუ არა ახალგაზრდებს დმანისის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედს (21%) მიუძღრათ მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო უმრავლესობას (79%) - არა (იხ. დანართი, ცხრილი 17).

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

დმანისში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (68%) კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. დაახლოებით მეხუთედი (22%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და მათ მიერ მიღებული განათლების ხარისხს საშუალოდ აფასებს, უკმაყოფილებას (უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილო) კი მხოლოდ 10% გამოთქვამს (იხ. დანართი, ცხრილი 21).

რაც შეეხება ახალგაზრდების მიერ უცხო ენის ცოდნას, ნახევარზე ნაკლები ამბობს, რომ ფლობს ერთ უცხო ენას მაინც (47%) - ყველაზე ხშირად კი ინგლისურ ენას (68%). საინტერესოა, რომ გამოკითხულთაგან ეთნიკური უმცირესობის ის წარმომადგენლები, რომლებიც ამბობენ, ერთ უცხო ენას მაინც ფლობენ (16%), მათი ძირითადი ნაწილი (85%) ამბობს, რომ ქართულ ენას ფლობს. (იხ. დანართი, ცხრილი 22, ცხრილი 23_1 - ცხრილი 23_6).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, ახალგაზრდების ჩართულობა უწყვეტ განათლებაში. გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (41%) აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად,

ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (61%) ამბობს, რომ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, 27% ამბობს, რომ რამდენჯერმე ყოფილა, ხოლო 12% ამბობს, რომ ბევრჯერ მომხდარა მსგავსი შემთხვევა (იხ. დანართი, ცხრილი 24 და ცხრილი 25). მათგან ვინც ამბობს, რომ სურდა დასწრება ტრენინგზე, მაგრამ ხელი შეეშალა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის არქონას (50%), ინფორმაციის არქონასა (22%) და საჭირო თანხის არქონას (17%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 26_1 - ცხრილი 26_6).

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (57%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს (იხ. დანართი, ცხრილი 27), მაგრამ რესპონდენტთა უმრავლესობა პროფესიულ განათლებასა (65%) და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას (70%) პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 79_3 და ცხრილი 79_4)³. საინტერესოა, რომ პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურად უფრო მეტი 26-29 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (81%) და ინტერნეტთან (88%) ყოველდღიურად აქვს. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი (76%) თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია (იხ. დანართი, ცხრილი 28, 29 და 30). ზოგადად, მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სწავლის მიზნით (64%), სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (59%), გასართობად (57%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ (56%) (იხ. დანართი, ცხრილი 31_1 - ცხრილი 31_7).


დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის ინტერესის საგანს დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის ახალგაზრდების მცირე წილი - 1% დასაქმებულია, 9% ეძებს სამუშაოს, ხოლო 90% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, თითქმის ნახევარი (47%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (32%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 41% ეძებს სამსახურს, 27% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (75%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეხუთედი (21%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

³ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

ხართ თუ არა დასაქმებული? (%)



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 39% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 46% - კერძო ორგანიზაციაში (იხ. დანართი, ცხრილი 40_1 - ცხრილი 40_8). დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა სრულ განაკვეთზე მუშაობს (66%), ასევე უმრავლესობაა ხელშეკრულებით დასაქმებული (79%). სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა (65%) საშუალოდ კვირაში 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო 35% კვირაში საშუალოდ 42-დან 100 საათამდე მუშაობს (იხ. დანართი, ცხრილი 44).


დასაქმებული სრულწლოვანი გამოკითხულების უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით, 15% კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი სამუშაოსადმი. გამოკითხული ახალგაზრდების 9% ამბობს, რომ სამსახურით უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 45).

რაც შეეხება გამოკითხულ სრულწლოვან ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (53%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას (23%), დასაქმების სერვისების არარსებობასა (17%) და ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობას (16%), ასახელებენ (იხ. დიაგრამა 4). კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (56%) და სტაჟირების შესაძლებლობა (50%) დაასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 48_1 - ცხრილი 48_8).

დიაგრამა 4

რა არის თქვენი უმუშევრობის ძირითადი მიზეზი? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების საკითხი (70%), სამუშაო ადგილის უსაფრთოხება (69%) და სამუშაოს სტაბილურობა (69%) მათთვის პრობლემური საკითხებია (იხ. დანართი, ცხრილი 79_5, 79_6 და 79_7)⁴. საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ აღნიშნულ საკითხებს, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდები.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) ამბობს, რომ მათთვის საკმარისი რაოდენობის ფინანსების არქონა პრობლემურია. დაახლოებით მეოთხედისთვის (24%) - ნაკლებად პრობლემური, ხოლო 13% აღნიშნულ საკითხს საშუალოდ პრობლემურად აფასებს (იხ. დანართი, ცხრილი 79_2)⁵. რესპონდენტთა უმრავლესობა (68%) ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხსაც პრობლემურად მიიჩნევს, 18% - ნაკლებად პრობლემურად, ხოლო 14%-ისთვის საშუალოდ პრობლემურია (იხ. დანართი, ცხრილი 79_3)⁶. საინტერესოა, რომ 14-17 წლის რესპონდენტები სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებს ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ.

⁴ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

⁵ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

⁶ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.


გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად, რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (71%), კითხულობენ წიგნს (41%) და უსმენენ მუსიკას (42%). სხვა ტიპის აქტივობები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

ჩამოთვლილთაგან, ყველაზე ხშირად, რომელ აქტივობებს ახორციელებთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 7 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

კითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების 25% პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. კმაყოფილებას (კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილი) რესპონდენტთა 42% გამოთქვამს, მესამედზე მცირედით მეტი (35%) კი ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს და აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების მდგომარეობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 7). ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (61%) თვლის, რომ დასვენება მათთვის პრობლემურია, დაახლოებით მეოთხედი (24%) მეტ-ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევს, ხოლო 15% - ნაკლებად პრობლემურად. გარდა ამისა,

გამოკითხულთა 59% თვლის, რომ გართობა პრობლემური საკითხია, დაახლოებით მეოთხედი (24%) საკითხს მეტ-ნაკლებად პრობლემურად აფასებს, ხოლო 17% - ნაკლებად პრობლემურად (იხ. დანართი, ცხრილი 79_15 და ცხრილი 79_16)⁷.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებს, კმაყოფილებას გამოკითხული ახალგაზრდების 52% გამოთქვამს, უკმაყოფილებას კი - 14%. გამოკითხული ახალგაზრდების 34% ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს და დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა. (იხ. დანართი, ცხრილი 8).


კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის, (44%) ახალგაზრდობის კლუბისა (41%) და ბანაკების (35%) არსებობა სურთ. ასევე, ხშირად დასახელდა ატრაქციონების პარკის (25%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება. აღსანიშნავია, რომ ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე 26-29 წლის გამოკითხულთათვის, ასევე, ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 26-29 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

⁷ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 3 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 54%-ის თქმით, დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. მეხუთედი (20%) კი საპირისპიროს ამბობს, ხოლო 26%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 10). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (59%) და ყველაზე ხშირად პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და დასაგეგმად (39%) გამოუყენებია, ხოლო მეხუთედს (20%) - მეგობრებთან შესახვედრად და გასართობად. რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ფიზიკური სივრცის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლიათ სივრცით (8%), ყველაზე ხშირად არსარგებლობის მიზეზად აღნიშნული სივრცის საცხოვრისიდან შორს მდებარეობას (17%) და სივრცის არასათანადო აღჭურვილობას/არაკომფორტულობას ასახელებენ (17%) (იხ. დანართი, ცხრილი 11, 12 და 13).

მოხალისეობა

გამოკითხული ახალგაზრდების მესამედი (33%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში⁸.


⁸ მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

მხოლოდ 1% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საზღვარგარეთ, ხოლო უმრავლესობის - 63%-ის განცხადებით არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 59).

დიაგრამა 7

გასული 12 თვის განმავლობაში მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

მათგან, ვინც ამბობს, რომ მიუღია გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (37%), 54% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედი (19%) აცხადებს, რომ ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 7% - კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. (იხ. დანართი, ცხრილი 60).

რაც შეეხება მოხალისეობის სიხშირეს, გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (32%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული იყო წელიწადში ერთხელ ან რამდენჯერმე, გამოკითხულთა 29%-ის განცხადებით, ამ საქმიანობით დაკავებული იყო თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე, 22% - კვირაში ერთხელ (იხ. დანართი, ცხრილი 61).

მოხალისეობის მოტივად რესპონდენტთა უმრავლესობამ (75%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 37%-მა - სიახლეების სწავლა, 36%-მა ახალი ადამიანების გაცნობა, 34%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, ხოლო 31%-მა - თავისუფალი დროის სასარგებლო საქმეებისთვის დახარჯვა (იხ. დანართი, ცხრილი 62_1 - ცხრილი 62_7).


ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (63%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 27% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის საკმარისი დრო, 5%-ს არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს

მოხალისეობრივ საქმიანობაში. 10%-ის განცხადებით კი არ აქვს კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში გასული 12 თვის განმავლობაში (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8

რა ფაქტორის/ფაქტორების გამო ვერ/არ მოხალისეობთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.


სპორტული აქტივობები

დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ყოველი მეხუთე ახალგაზრდა (20%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 48%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა 49%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ დაასახელეს ცურვა (12%) და ფრენბურთი (8%) (იხ. დანართი, ცხრილი 67 და ცხრილი 68). იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად სურვილის არარსებობას (50%) და არასაკმარის დროს (27%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9

დაასახელეთ მიზეზი, რატომ არ აქტიურობთ ფიზიკურად
(ვარჯიში, სპორტი ან სხვა) (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა - 82% აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, 76%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, 91% ამბობს, რომ არ მოიხმარს მარიხუანას, ხოლო 87% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 69, 70 და 71). მამრობითი სქესის წარმომადგენელთა 40% აღნიშნავს, რომ მოიხმარს ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მაინც, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 9% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 70a).

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით მეტი (53%) აცხადებს, რომ ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი ეწევა სიგარეტს, ასევე უმრავლესობა (63%) აცხადებს, რომ ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 72_1 და ცხრილი 72_3).

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი მეგობრების ნაწილი ან ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (76%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (81%) (იხ. დანართი, ცხრილი 72_2 და ცხრილი 72_4).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხული ახალგაზრდების 49% აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა, მათ შორის 14-17 წლის ახალგაზრდების 41%, 18-25 წლის ახალგაზრდების 54% და 26-29 წლის ახალგაზრდების 50% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 74). შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) აცხადებს, რომ პრობლემურია, მათ შორის, 55%-ის პროცენტის აზრით, ძალიან პრობლემურია. ახალგაზრდების მხოლოდ 12% ფიქრობს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არ არის პრობლემური (იხ. დანართი, ცხრილი 79_8). მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა 74% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (იხ. დანართი, ცხრილი 75). ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ამის მიზეზად 31% ასახელებს, რომ ექიმისთვის მიმართვა საჭიროდ არ მიიჩნია, ხოლო 25%-ის განცხადებით, მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა (იხ. დანართი, ცხრილი 76_1 - ცხრილი 76_6).

გამოკითხული ახალგაზრდების 85% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის. ისინი, ვინც ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, ამის მიზეზად 50% ამბობს, რომ არ იცოდა ვისთვის მიემართა, ხოლო 38%-ის განცხადებით, მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა (იხ. დანართი, ცხრილი 77, ცხრილი 78_1 და ცხრილი 78_6).

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები


გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (61%) აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 14%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა,

ხოლო 26%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა 10). მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები დასაქმების შესაძლებლობას (22%), საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (16%) და განათლების მიღებას (15%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 81).

დიაგრამა 10

გსურთ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით




შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ არ სურს ქვეყნიდან წასვლა (იხ. დიაგრამა 11). ისინი, ვინც ამბობს, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა (13%), ამის მიზეზად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (21%), უკეთესი განათლების (16%) და დასაქმების (13%) შესაძლებლობას ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 83_1 - ცხრილი 83_9). ამასთანავე, რესპონდენტთა 28% ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაციას ნაკლებად პრობლემურ საკითხად მიიჩნევს, ხოლო ახალგაზრდების 49%-ს ეს საკითხი პრობლემად მიაჩნია (იხ. დანართი, ცხრილი 79_20).

დიაგრამა 11

გსურთ თუ არა თქვენი ქვეყნიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ ძალიან აქტიური, აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური მოქალაქეა. მათი აქტიურობა კი ყველაზე ხშირად სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში მონაწილეობის მიღებაში გამოიხატება. მეოთხედზე ნაკლები აცხადებს, რომ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი და მოუსმენიათ მერის მიერ მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

ზოგადად, ყოველი მეორე გამოკითხული ახალგაზრდა ფიქრობს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია, ხოლო 30%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული. რესპონდენტები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით და ადგილობრივი ხელისუფლებისგან იღებენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მონაწილეობის არმიღების მთავარ მიზეზად არაინფორმირებულობა და ახალგაზრდებისთვის არასაინტერესო ღონისძიებები დასახელდა.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, გამოკითხულთა ნახევარზე მეტს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში და მათი უმრავლესობა დადებითად

აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს. ხოლო ყოველ მეხუთე გამოკითხულ ახალგაზრდას თავად მიუძღვრება მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის/ინიციატივის განხორციელების მიზნით.

რაც შეეხება ახალგაზრდების განათლების საკითხებს, დმანისში მცხოვრები გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. უმრავლესობა მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს, თუმცა გამოკითხული ახალგაზრდების ასევე უმრავლესობა პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს. საინტერესოა, რომ პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურად უფრო მეტი 26-29 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდა.

გამოკითხული ახალგაზრდების 41% ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, მესამედზე მეტი - 39% ამბობს, რომ მომხდარა მსგავსი შემთხვევა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის, ინფორმაციისა და საჭირო თანხის არქონა სახელდება.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან ყოველდღიურად აქვს. რესპონდენტების ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია. ზოგადად, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით, სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად, გასართობად და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ.

კვლევა დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დასაქმების საკითხებსაც სწავლობდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი დასაქმებული არაა და მათი უმრავლესობა ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, თითქმის ყოველი მესამე 18-25 წლის ახალგაზრდა ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო 41% ეძებს სამუშაოს. რაც შეეხება 26-29 წლის რესპონდენტებს, მათი უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმებულია.

დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 39% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 46% - კერძო ორგანიზაციაში. გამოკითხულთა უმრავლესობა სრულ განაკვეთზეა დასაქმებული და კვირაში, საშუალოდ, 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო მესამედზე მცირედით მეტი (35%) კვირაში, საშუალოდ, 42სთ-დან 100 საათამდე მუშაობს. დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით.

რაც შეეხება სრულწლოვან რესპონდენტებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (53%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას, დასაქმების სერვისების არარსებობასა და ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებენ.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების საკითხი, სამუშაო ადგილის უსაფრთხოება და სამუშაოს სტაბილურობა მათთვის პრობლემური საკითხებია. საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ აღნიშნულ საკითხებს, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდები. კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და სტაჟირების შესაძლებლობა დაასახელეს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხს პრობლემურად მიიჩნევენ. საინტერესოა, რომ 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდები სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებს ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ.

კვლევა ასევე სწავლობდა იმას, თუ ძირითადად რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ, კითხულობენ წიგნს და უსმენენ მუსიკას. კითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, ყოველი მეხუთე გამოკითხული ახალგაზრდა პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით კმაყოფილებას, გამოკითხული ახალგაზრდების 52% გამოთქვამს კმაყოფილებას. დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის, ახალგაზრდობის კლუბისა და ბანაკების ფუნქციონირება სურთ. ასევე მეოთხედმა დაასახელა ატრაქციონების პარკის არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე 26-29 წლის გამოკითხულთათვის, ასევე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 26-29 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. დაახლოებით ყოველი მესამე გამოკითხული ახალგაზრდა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში.

მოხალისეობის მთავარ მოტივად ახალგაზრდების უმრავლესობამ სხვების დახმარების სურვილი დაასახელა. ასევე, მესამედზე მეტმა სიახლეების სწავლა და ახალი ადამიანების გაცნობა დაასახელა.

ის რესპონდენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (63%), ყველაზე ხშირად ამის მიზეზად დროის არქონას ასახელებენ.

კვლევის ინტერესის საგანს ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობაც წარმოადგენდა. გამოკითხული ახალგაზრდების მეხუთედი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (48%) კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. ზოგადად, რესპონდენტების 49%-ს სურვილი აქვს ჩაერთოს

სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ ცურვა და ფრენბურთი დაასახელეს. იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად, ყველაზე ხშირად, სურვილის არარსებობასა და არასაკმარის დროს ასახელებენ.

რაც შეეხება მავნე ნივთიერებებისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებას, გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, არ მოიხმარს ალკოჰოლს, არ მოიხმარს მარიხუანას და არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს ალკოჰოლს. მამრობითი სქესის წარმომადგენლების 40% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 9% აცხადებს იმავეს.

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. თითქმის ყოველი მეორე გამოკითხული ახალგაზრდა აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა. შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ პრობლემურია. ასევე, უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ხოლო ვისაც დასჭირდა, მაგრამ ვერ მიმართეს, ამის მთავარ მიზეზად ექიმისთვის მიმართვის არასაჭიროებასა და მომსახურების სიძვირეს/საკმარისი თანხის არქონას ასახელებს. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის, ხოლო ვისაც დასჭირდა, მაგრამ ვერ მიმართეს, ყველაზე ხშირად მიზეზად მომსახურების შესახებ არაინფორმირებულობასა და მომსახურების სიძვირეს/საკმარისი თანხის არ ქონას ასახელებენ.

რაც შეეხება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 14%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 26%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ახალგაზრდები მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად დასაქმების შესაძლებლობას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და განათლების მიღებას ასახელებენ. ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ ქვეყნიდან წასვლა არ სურს. ისინი, ვინც ამბობენ, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა, ამის მიზეზად იმავე ფაქტორებს - ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, უკეთესი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობას ასახელებენ.

დანართი

1. ასაკი (%)		
14-17 წელი	სიხშირე	81
	%	29.1%
18-25 წელი	სიხშირე	129
	%	46.4%
26-29 წელი	სიხშირე	68
	%	24.5%
სულ	სიხშირე	278
	%	100%

2. სქესი (%)					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ მსურს მითითება	სიხშირე	1	4	1	6
	%	1.2%	3.1%	1.5%	2.2%
მდედრობითი	სიხშირე	46	63	36	145
	%	56.8%	48.8%	52.9%	52.2%
მამრობითი	სიხშირე	34	62	31	127
	%	42.0%	48.1%	45.6%	45.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

3. დასახლების ტიპი (%)					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
სოფელი	სიხშირე	39	56	16	111
	%	48.1%	43.4%	23.5%	39.9%
დაბა	სიხშირე	2	1	0	3
	%	2.5%	.8%	0.0%	1.1%
ქალაქი	სიხშირე	40	72	52	164
	%	49.4%	55.8%	76.5%	59.0%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4. მუნიციპალიტეტი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
დმანისი	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_1. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვხვდები მეგობრებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	24	43	14	81
	%	29.6%	33.3%	20.6%	29.1%
დასახელდა	სიხშირე	57	86	54	197
	%	70.4%	66.7%	79.4%	70.9%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_2. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვთამაშობ სამაგიდო თამაშებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	77	117	63	257
	%	95.1%	90.7%	92.6%	92.4%
დასახელდა	სიხშირე	4	12	5	21
	%	4.9%	9.3%	7.4%	7.6%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_3. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვთამაშობ კომპიუტერულ თამაშებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	65	106	62	233
	%	80.2%	82.2%	91.2%	83.8%
დასახელდა	სიხშირე	16	23	6	45
	%	19.8%	17.8%	8.8%	16.2%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_4. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმოგზაურობ ქვეყნის შიგნით

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	75	107	55	237
	%	92.6%	82.9%	80.9%	85.3%
დასახელდა	სიხშირე	6	22	13	41
	%	7.4%	17.1%	19.1%	14.7%

სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_5. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმოგზაურობ საზღვარგარეთ

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	80	126	67	273
	%	98.8%	97.7%	98.5%	98.2%
დასახელდა	სიხშირე	1	3	1	5
	%	1.2%	2.3%	1.5%	1.8%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_6. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ ლაშქრობებზე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	70	100	48	218
	%	86.4%	77.5%	70.6%	78.4%
დასახელდა	სიხშირე	11	29	20	60
	%	13.6%	22.5%	29.4%	21.6%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_7. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კონცერტებზე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	68	107	50	225
	%	84.0%	82.9%	73.5%	80.9%
დასახელდა	სიხშირე	13	22	18	53
	%	16.0%	17.1%	26.5%	19.1%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_8. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ თეატრში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)

არ დასახელდა	სიხშირე	75	115	50	240
	%	92.6%	89.1%	73.5%	86.3%
დასახელდა	სიხშირე	6	14	18	38
	%	7.4%	10.9%	26.5%	13.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_9. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კინოთეატრში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	80	124	61	265
	%	98.8%	96.1%	89.7%	95.3%
დასახელდა	სიხშირე	1	5	7	13
	%	1.2%	3.9%	10.3%	4.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_10. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმონაწილეობ გარემოსდაცვით საქმიანობაში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	74	111	53	238
	%	91.4%	86.0%	77.9%	85.6%
დასახელდა	სიხშირე	7	18	15	40
	%	8.6%	14.0%	22.1%	14.4%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_11. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვაწყობ, ან მონაწილეობას ვიღებ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობის პროცესში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	76	111	59	246
	%	93.8%	86.0%	86.8%	88.5%
დასახელდა	სიხშირე	5	18	9	32
	%	6.2%	14.0%	13.2%	11.5%
სულ	სიხშირე	81	129	68	278

	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
--	---	--------	--------	--------	--------

5_12. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვკითხულობ წიგნს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	45	86	33	164
	%	55.6%	66.7%	48.5%	59.0%
დასახელდა	სიხშირე	36	43	35	114
	%	44.4%	33.3%	51.5%	41.0%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებზე საუბრისას სხვადასხვა საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი აზრით, პრობლემური საკითხებია: უმუშევრობა და განათლების ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტირების პრობლემა, ახალგაზრდების მუნიციპალიტეტიდან გადინების, მიგრაციის პრობლემა, გასართობი ადგილების ნაკლებობა, სავარჯიშო სივრცეების არარსებობა, ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის არარსებობა, სადაც შეკრებასა და მსჯელობას და/ან მეცადინეობას შეძლებენ, მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი და მედიცინის მუშაკების არაკვალიფიციურობა.
- კვლევაში მონაწილე ორივე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ასევე ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობის შემთხვევაში კვლავ გამოწვევად რჩება ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხი და გოგოებისთვის აქტივობებში ჩართულობის ნების შეზღუდვა. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემასა და არსებულ ენობრივ ბარიერს. ტრანსპორტირების პრობლემას გამოყოფს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და ამბობს, რომ ყველა სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის.
- რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, რესპონდენტის აზრით, ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევაა ინფორმაციისა და სიახლეების მიღება. მისი თქმით, ახალგაზრდები არ არიან აქტიურები, საინფორმაციო შეხვედრების დროს ნაკლებად ერთვებიან განხილვებში. გარდა ამისა, გამოწვევაა უმუშევრობის დაძლევა და ინფრასტრუქტურული საკითხები - ახალგაზრდებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და კინოთეატრის ფუნქციონირება სჭირდებათ. რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაც არსებობს. მერიის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გამოწვევები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვითაც. მისი თქმით, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები უდგათ, როგორცაა მაგალითად, სოფელში აფთიაქის ფუნქციონირება, მაშინ როცა ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდას მსგავსი საკითხი არ აწუხებს.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

- დმანისში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (68%) კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით.
- რესპონდენტების 41% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (57%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს.
- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ კომპიუტერთან (81%) და ინტერნეტთან (88%) წვდომა ყოველდღიურად აქვს.
- რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით (64%), სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (59%), გასართობად (57%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ (56%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი და ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები არსებობს. გარდა ამისა მერიის წარმომადგენლის თქმით, გამოწვევაა განათლების ხელმისაწვდომობაც, რის გამოც ახალგაზრდები დედაქალაქში მიდიან და უკან აღარ ბრუნდებიან. რესპონდენტის თქმით, მოსახლეობის ეთნიკურად აზერბაიჯანულ ნაწილში შეინიშნება განათლების მიღებისადმი ნაკლები ინტერესი და ნაადრევი ქორწინების ფაქტები. რესპონდენტის თქმით, სოფლებში განათლების ხელმისაწვდომობაც ნაკლებია, ვიდრე ქალაქში, ერთ-ერთ სოფელში, რომელიც რეგიონული ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს, სკოლაში არ ჰყავთ ისეთი ხელოვნების დარგის მასწავლებლები, როგორცაა ხატვა, სიმღერა და ცეკვა.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (47%) ამბობს, რომ დასაქმებულია.
- გამოკითხულთაგან, 18-25 წლის ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (32%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 41% ეძებს სამსახურს, 27% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-29 წლის რესპონდენტთა უმრავლესობა (75%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეხუთედი (21%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.
- დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 39% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 46% - კერძო ორგანიზაციაში.
- კვლევის ფარგლებში გამოკითხული, დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით, 15% არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი სამუშაოსადმი, 9% კი უკმაყოფილოა.

- გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული (53%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას, დასაქმების სერვისების არარსებობასა და ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებენ.
- კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და სტაჟირების შესაძლებლობა დაასახელეს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი დასაქმებას ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევენ. მათი თქმით, დმანისში სამსახურის პოვნა მხოლოდ ბანკში, სკოლასა და მერიაშია შესაძლებელი.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- ყოველი მეოთხე გამოკითხული ახალგაზრდა (25%) დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობებით უკმაყოფილოა.
- რესპონდენტთა 52% კმაყოფილია მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით, უკმაყოფილებას კი მხოლოდ 14% გამოთქვამს.
- კვლევის თანახმად, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (71%), კითხულობენ წიგნს (41%) და უსმენენ მუსიკას (42%).
- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის, ახალგაზრდობის კლუბისა და ბანაკების ფუნქციონირება სურთ.
- რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) ამბობს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს.
- ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ თავისუფალ დროს სახლში ატარებენ და ისურვებენ ისეთ გასართობ და შემოქმედებით სივრცეებს, სადაც სხვა ახალგაზრდებთან ერთად შეძლებენ შეკრებას და დროის გატარებას.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობის (63%) განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. ახალგაზრდების მესამედი (33%) აცხადებს, რომ საქართველოში განხორციელებულ მოხალისეობრივ აქტივობებში მიუღია მონაწილეობა, ხოლო 1% ამბობს, მონაწილეობა საზღვარგარეთ მოხალისეობრივ აქტივობებში აქვს მიღებული.
- მათგან, ვინც ამბობს, რომ მიუღია გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (37%), 54% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედი (19%) აცხადებს, რომ ჩართული იყო

გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 7% - კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

- მოხალისეობის მოტივად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ (75%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 37%-მა - სიახლეების სწავლა, 36%-მა - ახალი ადამიანების გაცნობა, 34%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, ხოლო 31%-მა - თავისუფალი დროის სასარგებლო საქმიანობებისთვის დახარჯვა.
- ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (63%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 27% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის საკმარისი დრო, 5%-ს არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში.

სპორტული აქტივობები

- დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 48%-ის განცხადებით, საერთოდ არ არის სპორტული აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა მეხუთედი (20%) კი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (49%) სურვილი აქვს, ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის, ყველაზე ხშირად ცურვას (12%) და ფრენბურთს (8%) ასახელებენ.
- იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად სურვილის არარსებობას (50%) და არასაკმარის დროს (27%) ასახელებენ.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს (82%), არ მოიხმარს ალკოჰოლსა (76%) და მარიხუანას (91%), ხოლო 87% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები.
- რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს. მამრობითი სქესის წარმომადგენელთა მეოთხედზე მეტი - 40% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 9% აცხადებს იმავეს.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ მათი მეგობრების ნაწილი ან ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (76%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (81%).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

- გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (49%) აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა.

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) აცხადებს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია.
- ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (26%), ამის მიზეზად 31% ასახელებს იმას, რომ ექიმისთვის მიმართვა საჭიროდ არ ჩათვალა, ხოლო 25%-ის განცხადებით, მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა.
- გამოკითხულთა 85% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის.
- ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა (15%), ამის ძირითად მიზეზებად მსგავსი მომსახურების სიძვირეს/არასაკმარისი თანხის ქონასა და არაინფორმირებულობას ასახელებენ იმის შესახებ, თუ ვის მიმართონ.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი ახალგაზრდა ხაზს უსვამს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში არ არსებობს მედიცინის კვალიფიციური მუშაკები, ხოლო კლინიკა სათანადოდ აღჭურვილი არ არის.

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (61%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან წასვლა არ სურს, 14%-ს კი - სურს, ხოლო დაახლოებით მეოთხედს (26%) ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.
- მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად რესპონდენტები დასაქმების შესაძლებლობას (22%), საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა (16%) და განათლების (15%) მიღებას ასახელებენ.
- რაც შეეხება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, თვისებრივ კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლი და ასევე ახალგაზრდები ამბობენ, რომ ახალგაზრდების წინაშე მდგარი დასაქმების გამოწვევის გამო და ასევე, განათლების მისაღებად ახალგაზრდები დედაქალაქში მიდიან, ხოლო უკან აღარ ბრუნდებიან. როგორც ერთ-ერთი ახალგაზრდა განმარტავს, ახალგაზრდების მიგრაცია დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარებას აფერხებს.

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების

შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14 წლიდან 30 წლამდე ასაკის 278 ახალგაზრდა. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-29 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა, კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევის მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. დმანისის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 278 რესპონდენტი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკები გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში¹ (14-17, 18-25 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

¹ 26-29 წლის ასაკობრივ კატეგორიებთან ფოკუს ჯგუფი ვერ შედგა, ვინაიდან, სავსე სამუშაოების დროში შეზღუდულობიდან გამომდინარე, დადგენილ ვადებში ვერ მოხერხდა აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის ისეთი ახალგაზრდების მოძიება, რომლებიც ფოკუს ჯგუფში მონაწილეობას მიიღებდნენ.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდები;
- დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კვლევის ინსტრუმენტები

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით; ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა An EU-funded project under the Skills 4 Jobs -დახმარებით ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

რესპონდენტთა შერჩევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-29 წელია.

დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საერთო რაოდენობაა 4041. კვლევის საერთო შერჩევად განისაზღვრა 250 რესპონდენტი, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 278-მა ახალგაზრდამ.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

თავდაპირველად გამოყოფილი იყო ოთხი ასაკობრივი ჯგუფი: 14-17 წელი, 18-22 წელი, 23-25 წელი და 26-29 წელი, თუმცა არსებული არსებული გარემოებების გათვალისწინებით გამოიყო 3 კგუფი:

- 14-17 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულებას;

- 18-25 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა ახალგაზრდების გადასვლას პროფესიული განათლებიდან და/ან უმაღლესი განათლებიდან სამუშაო ბაზარზე და პირველ დასაქმებას;
- 26-29 წლის წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი პირველი დასაქმების შემდეგ პერიოდად ითვლება.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

დმანისის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა 11 ივნისიდან 10 აგვისტომდე პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - სექტემბერში.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცემები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

კვლევის შეზღუდვები

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- მაღალია ნაკლები მონაცემების მაჩვენებელი;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს;

გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოცდილება ამ სფეროში 5-6 წელს ითვლის. სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლის კონკრეტულ პოზიციაზე² ყოფნის გამოცდილება კი ნახევარ წელზე ნაკლებია. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 26 წლამდე მერყეობს და დმანისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებს სთხოვეს, ესაუბრათ დმანისის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი **უმუშევრობისა და განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას** ასახელებს. მათი აზრით, დმანისის მუნიციპალიტეტში თითქმის არ არსებობს სამუშაო ადგილები, ხოლო განათლების მიღება განსაკუთრებით გამოწვევაა სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რაც თავის მხრივ **ტრანსპორტის პრობლემას** უკავშირდება. რამდენიმე ახალგაზრდა აღნიშნავს, რომ სხვადასხვა საგანში უწევთ რეპეტიტორებთან მომზადება, თუმცა მათთვის ტერიტორიული გადაადგილება პრობლემურია და გაჩერებებზე ლოდინი უწევთ ხოლმე დიდ ხანს. ერთ-ერთი მონაწილე კი აღნიშნავს, რომ ქალაქისგან შორს მყოფი სოფლები უფრო მოწყვეტილია ქალაქს, რადგან არ არის დანიშნული ტრანსპორტი. გარდა ამისა, უმუშევრობას და განათლების ხელმისაწვდომობის საკითხებს უკავშირდება **მიგრაციის პრობლემაც**, რასაც კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები გამოწვევად მიიჩნევენ. მათი განმარტებით, ახალგაზრდები განათლების მისაღებად და დასაქმებისთვის დედაქალაქში მიდიან, უკან კი აღარ ბრუნდებიან და რეგიონში ვერ ხერხდება ახალგაზრდების შენარჩუნება. მონაწილეთა მცირე ნაწილი **გასართობი ადგილების ნაკლებობაზეც** მიუთითებს. ერთ-ერთი მონაწილე კი **სავარჯიშო სივრცეების არარსებობას** ასახელებს გამოწვევად. ასევე, მცირე ნაწილი ამბობს, რომ არ არსებობს **ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცე**, სადაც შეკრებასა და მსჯელობას და/ან მეცადინეობას შეძლებენ. გარდა ამისა, ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ სოფელს, სადაც ცხოვრობს, არ აქვს პარკი/სკვერი. მონაწილეთა მცირე ნაწილმა **ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაზეც** გაამახვილა ყურადღება. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით კი ზოგიერთ ახალგაზრდას კომპიუტერიც არ აქვს, რაც ონლაინ განათლების მიღებაში განსაკუთრებულად ხელშემშლელი ფაქტორია. ერთი მონაწილე კი ყურადღებას მუნიციპალიტეტში **სამედიცინო მომსახურების დაბალ ხარისხზე** ამახვილებს, მისი განმარტებით, დმანისის მუნიციპალიტეტში **მედიცინის არაკვალიფიციური მუშაკები** არიან, რაც ზოგჯერ ფატალურ შედეგებს იწვევს.

ამჟამად კი ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ თავისუფალ დროს სახლში ატარებენ და ისურვებენ ისეთ გასართობ და შემოქმედებით

² რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

სივრცეებს, სადაც სხვა ახალგაზრდებთან ერთად შეძლებენ შეკრებასა და დროის გატარებას.

„ჩემს რაიონში, პირველ პრობლემად მოვიაზრებ უმუშევრობას. ადგილობრივი ახალგაზრდობა არის უმუშევარი და არაფერს არ აკეთებს საერთოდ, ვინც კიდევ სამსახურს ეძებს უფრო მოწყვეტილია დმანისიდან და წასული არის თბილისისკენ. ანუ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა უმუშევრობა და ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა - არაკვალიფიცირებული მედპერსონალი, დმანისში არ არის ნორმალური საავადმყოფო. ბევრი ისეთი შემთხვევა ყოფილა, რომ ცუდად დამთავრებულა. არ უნდა ენდო მედპერსონალს.“ (კაცი, 23 წლის, სოფელი ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

"აქაც ძირითადი პრობლემა არის განათლების მიღება და ხშირად არის, თუნდაც ჩემხელა ბავშვებში, რომ სჭირდებათ რაიმე საგანში მომზადება, რაშიც ვერ ემზადებიან განათიადში და ამისთვის უწევთ დმანისში ასვლა. რაზეც გზაში მშობლები ნერვიულობენ, როგორ წავა მათი შვილი და როგორ ჩამოვა... მუნიციპალური ტრანსპორტი ძირითადად არის დანიშნული ისეთ წრეებზე, როგორიც არის: მუსიკა, ცეკვა და ესეთი რაღაცები და კერძო საგნებში მომზადების დროს არ არის ტრანსპორტი დანიშნული, ამიტომ იძულებულები ვართ ბავშვები, ვიართ სხვა მანქანებით და გამვლელი ტრანსპორტით. ძალიან მოუხერხებელია, იმიტომ რომ ბევრ საგანში გვიწევს მომზადება და ერთდროულად ვერ ვამთხვევთ დროს და გვიწევს დიდი ხანი გაჩერებაზე დგომა და იქიდან გვიან ჩამოსვლა.“ (ქალი, 14 წლის, სოფელი განათიადი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

საინტერესოა, რომ არასრულწლოვანი მონაწილეების ძირითადი ნაწილი, ფიქრობს, რომ ახალგაზრდების პრობლემები განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. რესპონდენტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის გამოწვევაა განათლების მიღება, რადგან მათმა ნაწილმა ქართული ენა სათანადოდ არ იცის, თუმცა ქართულენოვან სკოლებში სწავლობენ, რაც მათთვის ხარისხიანი განათლების მიღებაში ხელშემშლელია. გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი ადრეული ქორწინების ტრადიციას მისდევს, რაც მათი აზრით, აზარალებს ახალგაზრდებს. სრულწლოვანი რესპონდენტების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ პრობლემები განსხვავდება ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, არსებობს ისეთი პრობლემები, რომელიც ნაკლებად აწუხებს 15 წლამდე ახალგაზრდებს, მაგალითად, უმუშევრობა.

"ჩემი აზრით, აზერბაიჯანელები განათლებას უფრო რთულად იღებენ, ვიდრე ჩვენ. თუნდაც, იქიდან დაწყებული რომ ენა იმდენად კარგად არ იციან, მაგრამ სწავლობენ ქართულ სკოლებში. მე მყავდა ისეთი კლასელები, რომლებმაც ქართულად რამდენიმე სიტყვა იცოდნენ, თუმცა სწავლობდნენ ჩვენს სკოლაში და ძნელია ასე მაგათთვის, თან ადრე რომ თხოვდებიან განათლებას ვერ იღებენ. არის რამდენიმე ვინც კოლეჯში სწავლობს, მაგრამ ძირითადად მაინც ვერ იღებენ სათანადო განათლებას.“ (ქალი, 17 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებს ზემოთხსენებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მუნიციპალიტეტის როლი ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების გამკლავებაში დიდია. მონაწილეების ძირითადი ნაწილის აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას სამუშაო ადგილები. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, დმანისში უნდა გაკეთდეს რაიმე საწარმო, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. ასევე, ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტმა საჭიროა, რომ სტაჟის მოთხოვნის გარეშე დაუშვას ახალგაზრდები სამუშაო ადგილებზე, რადგანაც ახალგაზრდები სამუშაო სტაჟის დაგროვებას ვერ ახერხებენ. არასრულწლოვან მონაწილეთა ძირითადი ნაწილი ყურადღებას განათლების მიღების შესაძლებლობასა და ახალგაზრდულ სივრცეებზე ამახვილებენ. მათი აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა თაობისთვის ხარისხიანი განათლების მიღებით. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტმა შესაძლებელი უნდა გახადოს დმანისში უმაღლესი განათლების მიღება. ასევე, ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ დმანისში არსებობს კოლეჯი, სადაც შეიძლება სასწავლო მიმართულებების დამატება, რომ უფრო მეტმა ახალგაზრდამ შეძლოს კოლეჯში სწავლა. გარდა ამისა, ერთ-ერთი მონაწილე, ამბობს, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს უნდა უტარდებოდეთ ტრენინგები, ცხოვრების წესის შესახებ, „რომ შეუძლიათ ისეთი ცხოვრება, როგორც მათ სურთ და არა როგორც მშობელს“ (ქალი, 16 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი). არასრულწლოვანთა ჯგუფის აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს ისეთი სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, მსჯელობას და/ან გართობას. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს. მათი აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა გადაჭრას ტრანსპორტირების პრობლემები და დანიშნოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ასევე ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, საჭიროა, არსებული კლინიკის ახალი ტექნიკით აღჭურვა და მედპერსონალის გადამზადება. გარდა ამისა, ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ სასურველია, მუნიციპალიტეტმა გარდა გასართობი სივრცეებისა, შექმნას სპორტული სივრცეებიც.

„დმანისში არის ერთი კოლეჯი, ჩემი რამდენიმე მეგობარი დადის თუ არ ვცდები საექთნოზე სწავლობენ, რა ვიცი, უფრო მეტი განხრა რომ იყოს იმ კოლეჯში, ესეც დაგვეხმარება. (ქალი, 17 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

„უნდა გაიხსნას რაიმე საწარმო დმანისის რეგიონში, რომ დასაქმდეს ხალხი. სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას, კოოპერატივები უნდა იყოს ბევრი. საავადმყოფოებს უნდა მიაწოდოს მუნიციპალიტეტმა თანამედროვე ტექნიკა და აღჭურვილობა, ჩატარდეს ექიმების რეკვალიფიკაცია.“ (კაცი, 23 წლის, სოფელი ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

არასამთავრობო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების აზრით კი ზოგადად, ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემები განსხვავდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის აზრით, პრობლემები განსხვავდება, როგორც დასახლების ადგილის, ისე ეთნიკური მახასიათებლების მიხედვით. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევაა ინფორმაციისა და სიახლეების

მიღება. მისი თქმით, ახალგაზრდები არ არიან აქტიურები, საინფორმაციო შეხვედრების დროს ნაკლებად ერთვებიან განხილვებში და „ძალიან კომპლექსდებიან“. რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდებმა არ იციან თავიანთი როლი. გარდა ამისა, გამოწვევაა დასაქმების საკითხი. დმანისში დასაქმების ადგილები, მისი განცხადებით, მხოლოდ მერია, სკოლა და ბანკია. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ ახალგაზრდები სკოლებში დასაქმებით დაინტერესდნენ. რესპონდენტის აზრით, გამოწვევაა ინფრასტრუქტურული საკითხები - ახალგაზრდებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და კინოთეატრის ფუნქციონირება სჭირდებათ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაც არსებობს. ასევე, მერიის წარმომადგენლის თქმით, გამოწვევაა განათლების ხელმისაწვდომობაც, რის გამოც ახალგაზრდები დედაქალაქში გაედინებიან და უკან აღარ ბრუნდებიან. განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა არსებობს ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ადგილებშიც. როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, დმანისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ნაწილს ეთნიკურად აზერბაიჯანელები წარმოადგენენ და შეინიშნება განათლების მიღებისადმი ნაკლები ინტერესი და ნაადრევი ქორწინების ფაქტები. რესპონდენტის თქმით, ზოგჯერ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები დაინტერესებული არიან სიმღერის, მათ შორის გალობის ხელოვნებით, ცეკვით, თუმცა ზოგჯერ მათ მშობლები არ რთავენ ნებას, რომ მსგავს აქტივობებში ჩაერთონ. გარდა ამისა, რესპონდენტის განცხადებით, გამოწვევები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვითაც. მისი თქმით, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები უდგათ, როგორცაა მაგალითად, სოფელში აფთიაქის ფუნქციონირება, მაშინ როცა ქალაქ დმანისში მცხოვრებ ახალგაზრდას მსგავსი საკითხი პრობლემად არ მიაჩნია. ასევე, სოფლებში განათლების ხელმისაწვდომობაც ნაკლებია, ვიდრე ქალაქში, რესპონდენტის განცხადებით, ერთ-ერთ სოფელში, რომელიც რეგიონული ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს, სკოლაში არ ჰყავთ ისეთი ხელოვნების დარგის მასწავლებლები, როგორცაა ხატვა, სიმღერა და ცეკვა. სოფლებს გარკვეულწილად ტრანსპორტირების პრობლემაც აწუხებს. ტრანსპორტირების პრობლემას გამოყოფს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც და ამბობს, რომ ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდისგან განსხვავებით სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდას ტრანსპორტირების პრობლემა აქვს, რადგან ყველა სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის. რესპონდენტის თქმით, დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავდება ასევე დასუფთავების პრობლემაც, რომელიც ქალაქში უფრო პრობლემური საკითხია, ვიდრე - სოფელში. კვლევაში მონაწილე ორივე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობის შემთხვევაში კვლავ გამოწვევად რჩება ნაადრევი ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხი და გოგოებისთვის აქტივობებში ჩართულობაში ნების შეზღუდვა. გარდა ამისა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემასა და ეთნიკურ უმცირესობებში არსებულ ენობრივ ბარიერს.

„ვიღაც [რომ] ხვდება ეს არის მათთვის ახალი და ძალიან კომპლექსდებიან... ძალიან უჭირთ სიახლის მიღება, რაც ჩემი აზრით, ყველაზე დიდი გამოწვევაა... პრობლემები აქვთ დასაქმების მხრივ. დასაქმების ადგილები არის მხოლოდ მერია, ბანკი და სკოლა. სკოლაში ახალგაზრდები უკვე ნელ-ნელა ცდილობენ დასაქმდნენ. არის განათლების პრობლემა აზერბაიჯანელებში, ნაადრევი ქორწინების პრობლემა. მოსახლეობის

უმრავლესობა არის აზერბაიჯანელი... ნაკლებად აინტერესებთ სწავლა/განათლება, ამთავრებენ 9 კლასს და შემდეგ მიდიან ბაქოში, სადაც ნათესაურ ბიზნესში ერთვებიან. მერე აქ ბრუნდებიან და ხსნიან მაღაზიებს. ასევე ყველაზე დიდი პრობლემა არის მიგრაცია. ახალგაზრდები მიდიან თბილისში, რადგან აქ არ არის სასწავლებელი და საბოლოოდ აღარ ბრუნდებიან.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

„ეთნიკური, ინტეგრაციის მხრივ არის ძალიან დიდი პრობლემა. ჩვენ და ეთნიკურ აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს შორის. არიან ახალგაზრდები, რომელთაც ინტერესი აქვთ, სურვილიც გააჩნიათ და ერთვებიან აქტივობებში. თუმცა გარკვეული ბარიერები ხელს გვიშლის ხოლმე მათთან ურთიერთობაში... ეს მათ წესებშიც არის, რომ რა ვიცი, გოგოები მეტ-ნაკლებად ერთვებიან ხოლმე აქტივობებში, ძირითადად - ბიჭები. გარდა ამისა, არის ენობრივი ბარიერი.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითად ნაწილს სმენია დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს არის მორგებული. არასრულწლოვანთა ჯგუფი იხსენებს, განხორციელებულ გარემოსდაცვით აქტივობებსა და გასართობ ღონისძიებებს. ერთ-ერთი მონაწილე კი ეთნიკურ უმცირესობებზე მორგებული პროგრამებზეც საუბრობს. ასევე, ერთი მონაწილე „წითელი ჯვრის“ ფარგლებში ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრების დახმარებაზე საუბრობს. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს, ჯგუფის მცირე ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებაზე მორგებული პროექტების შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზების მიერ ორგანიზებული აქტივობების შესახებ სმენია, თუმცა ტრანსპორტირების პრობლემის გამო აქტივობებში ჩართულობა მისთვის რთულია. რაც შეეხება კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ინფორმირებულობას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, მათ ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ევროპელების“ შესახებ საუბრობს და აღნიშნავენ, რომ ინტელექტუალურ და სპორტულ ღონისძიებებს სთავაზობს ახალგაზრდებს, ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებისთვის განათლების მიღების წახალისებას.

„შეჯიბრი ხშირად ტარდებოდა და მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან იშვითად ტარდება. არასამთავრობო ორგანიზაციები ატარებდა ხოლმე. რომ იყოს მაგალითად, კალათბურთში, ფეხბურთში, უფრო აქტიურად ჩაერთვებიან ბავშვები და გასართობიც იქნება“. (ქალი, 15 წლის, ქლაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი).

თავის მხრივ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პროგრამებსა და აქტივობებზე ისაუბრეს, რასაც ახალგაზრდებს სთავაზობენ. ზოგადად, კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად არაფორმალური განათლების მიღებასა და ინტეგრაციის მხარდამჭერ პროექტებს

სთავაზობენ ახალგაზრდებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიხედვით, ახალგაზრდებს ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებსა (ვორკშოფებს) და სემინარებს სთავაზობენ სხვადასხვა თემაზე. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, გასართობ აქტივობებსაც აწყობენ ხოლმე ახალგაზრდებისთვის, მაგალითად, კინოჩვენებას. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ მათი მიერ განხორციელებული აქტივობები ძირითადად მოხალისეობრივია, რადგან ამ ეტაპზე არ აქვთ დაფინანსებული პროექტები, თუმცა ახლო წარსულში ჰქონიათ ინტეგრაციის მხარდამჭერი და საგანმანათლებლო პროექტები, მაგალითად, სკოლებში ოლიმპიადების ჩატარება. რაც შეეხება მეორე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, მისი თქმით, პროექტებს ხშირად USAID-ი აფინანსებს. რესპონდენტების განცხადებით, მათი სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდები არიან.

რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელებას აქტივობების შესახებ, რესპონდენტები მიმართავენ, როგორც ონლაინ გავრცელების გზებს, ისე ინფორმაციის მიწოდებას სკოლებისა და მერიისთვის. ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში ინფორმაციას რესურსცენტრსაც აწვდიან, ხოლო მეორე ორგანიზაციის შემთხვევაში სანაცნობო წრეებს, მათ შორის მოხალისეებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში კი გამოიკვეთა, რომ პასიური ახალგაზრდების აქტივობაში ჩასართავად ორგანიზაციის წევრები პირველ რიგში დასახმარებლად აქტიურ ახალგაზრდებს მიმართავენ, თუმცა როცა ეს ხერხი არ მუშაობს, თავად ხვდებიან არააქტიურ ახალგაზრდებს და უხსნიან კონკრეტული პროექტში მონაწილეობის სარგებელს. მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების საჭიროებებს ითვალისწინებენ, ძირითად შემთხვევებში ინფორმაციას ახალგაზრდებთან პირისპირ შეხვედრებისას იღებენ. ერთ-ერთი რესპონდენტი კი აღნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის წინ ჩაუტარებიათ ახალგაზრდები საჭიროებების კვლევა. როგორც ორგანიზაციების წარმომადგენლების საუბრიდან გამოიკვეთა არ აქვთ შემუშავებული პროექტების შეფასების მექანიზმი.

„ძირითადად გვაქვს ხოლმე პროგრამა PITA, ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდამჭერის პროგრამა. როგორც მოგეხსენებათ დმანისში ცხოვრობს, როგორც ქართველები, აგრეთვე აზერბაიჯანელები და სომხები. ტარდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები. ეს შეიძლება იყოს ტრენინგები, ვორკშოფები, სემინარები... ვესწრებით, როგორც ქართველი ბავშვები ისე აზერბაიჯანელი ბავშვები. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაწყობთ სხვადასხვა აქციებს. ეს შეიძლება იყოს დასუფთავების, სპორტული ღონისძიებების. ჩვენს პროგრამას აფინანსებს USAID-ი... ამასთან ერთად ჩვენ მარტო ერთმანეთს არ ვუტარებთ ტრენინგებს, ჩამოდიან უფრო კომპეტენტური ტრენინგები... ინფორმირება ხდება ჩვენი ახალგაზრდული ფეისბუქ გვერდის მეშვეობით. ამასთანავე, სკოლებთან გვაქვს ახლო კავშირი, მერიასთან და რესურსცენტრთან.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს, როგორც გასართობ, ისე საგანმანათლებლო პროექტებს. რესპონდენტის თქმით, ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც

ახალგაზრდებს საშუალება აქვთ უფასოდ ისწავლონ ინგლისური და ქართული ენები. წელს კი ისტორიის სწავლასაც შეძლებენ უფასოდ. რესპონდენტის თქმით, არაფორმალური განათლების კუთხით, ძირითადად სკოლის ასაკის ბავშვები არიან დაინტერესებული, ხოლო 18 წელს ზემოთ ახალგაზრდებს უფრო ფორმალური განათლება აინტერესებთ. გარდა ამისა, არსებობს კულტურული ცენტრიც, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ჩართული არიან კულტურულ აქტივობებში. რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდების სოფლებიდან ტრანსპორტირებას სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში, მაგალითად, სპორტსკოლაში, სამუსიკო სკოლაში და სხვა ტიპის წრეებში. მერიის წარმომადგენლის განცხადებით, მსგავსი წრეები უფასოა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის, ხოლო ვისაც სოციალურად დაუცველის სტატუსი არ აქვს, მათთვის დაბალი გადასახადი იყო დაწესებული, თუმცა ეს წესიც იცვლება და გადადიან ვაუჩერულ სისტემაზე. რაც შეეხება გასართობ აქტივობებს, რესპონდენტის თქმით, ეწყობა შემეცნებითი ფილმების ჩვენება და ტარდება ხოლმე კონცერტები.

რესპონდენტის თქმით, ინფორმაციას აქტივობების შესახებ სოციალური ქსელების გამოყენებითა და ახალგაზრდებთან შეხვედრებით ავრცელებენ. ახალგაზრდებთან შეხვედრები ასევე ეხმარება მუნიციპალიტეტს, რომ გაიგონ მათი საჭიროებები და დაგეგმონ შესაბამისი აქტივობები. მერიის წარმომადგენელი ეფექტურად მიიჩნევს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს, მისი თქმით, კი ამაზე პროგრამაში ჩასართავად ახალგაზრდების ჭარბი ნაკადი მეტყველებს. რესპონდენტის თქმის, ასევე აქვთ მონიტორინგის მექანიზმიც, რომლის დროსაც ხდება აქტივობებზე დასწრება და ამ გზით აქტივობის სხვადასხვა მახასიათებლის შემოწმება.

„ჩემი აზრით, ყველაზე მაგარი რაც გამოგვივიდა ამ ეტაპზე არის ტრანსპორტირება ახალგაზრდების. სპორტ სკოლაში, მუსიკალურში და ააიპებში გავაკეთეთ ამ ახალგაზრდების ტრანსპორტირება და ყველა სოფლიდან, ვისაც სურვილი აქვს მოდიან და სხვადასხვა წრეებზე დადიან. სოციალურად დაუცველი ბავშვების სრულიად უფასოა წრეებზე სიარული. სხვებისთვის ძალიან მინიმალური იყო გადასახადი და ეხლა უკვე გადავდივართ ვაუჩერულ სისტემაზე. მოხდა ახალგაზრდების ინტეგრაცია და ეს ყველაზე კარგი.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების ჩართულობა

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. ერთი მონაწილე ამბობს, რომ ერთხელ მოეწყო შეხვედრა ქალაქის მერთან და ახალგაზრდებთან, სადაც განიხილეს არსებული პრობლემები. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ახალგაზრდული საკრებულოს წევრი იყო, თუმცა ეს აქტივობა შედეგის მომტანი არ გამოდგა. ახალგაზრდების ნაწილი აცხადებს, რომ ახალგაზრდებს მოტივაცია არ აქვთ, რომ ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით - „არ იმართება ისეთი ღონისძიებები, სადაც ჩვენი ჩართულობაა საჭირო.“ (ქალი, 21 წლის, სოფელი

ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი). მონაწილეების აზრით, ახალგაზრდები უნდა გააქტიურდნენ, განსაკუთრებით კი განათლების მიღების მიმართულებით, ასევე უნდა დაინტერესდნენ მუნიციპალიტეტის საქმიანობითა და ბიუჯეტის განაწილებით. ერთ-ერთი მონაწილის თქმით კი ახალგაზრდებმა უნდა დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები. გარდა ამისა, ერთი მონაწილე ამბობს, რომ ზოგჯერ ეწყობა სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრი, თუმცა მონაწილეობის მსურველი ახალგაზრდები ნაკლებად არიან. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, უნდა ეწყობოდეს ხოლმე შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის, რათა ისაუბრონ პრობლემებზე და გაცვალონ იდეები.

„უნდა შეხვდნენ ახალგაზრდები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ერთმანეთს, დაილაპარაკონ, განიხილონ. ეს უფრო გამოიღებს შედეგს.“ (კაცი, 23 წლის, სოფელი ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

„ვიყავი დმანისის ახალგაზრდული საკრებულოს წევრი, რამდენად უცნაურადაც დაიწყო ეს ყველაფერი, ისე უცნაურად დამთავრდა. ვერ მივხვდი საერთოდ სად ვიყავი, რატო ვიყავი... კარგი იქნებოდა რეალურად რომ ჩატარებულიყო ეს ყველაფერი.“ (კაცი, 23 წლის, სოფელი ჯავახი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსაზრებებს, რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდები არ არიან ჩართულნი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, თუმცა რესპონდენტი განმარტავს, რომ ცდილობს, ახალგაზრდები ჩართოს სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში და გაიგოს მათი აზრი, თუ რა ტიპის აქტივობის დაგეგმვა ურჩევნიათ. აქვე აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით რთულია პასიური ახალგაზრდების აქტივობებში ჩართვა.

„არასოდეს არ ყოფილან ჩართულები. არც ერთი დოკუმენტის მომზადებაში... ჩემი აზრით, უკვე მე დავიწყე ახლა ის პროცესი, რომ ეს ახალგაზრდები უშუალოდ ჩავრთე აი, ამ პროცესში. ამას მე ვეძახი ზუსტად ახალგაზრდების ჩართულობას. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მონაწილეობას იღებენ, მოხალისეობაშიც ერთვებიან სხვათა შორის წინა წლიდან. ახალგაზრდების აზრს ვითვალისწინებთ ყველა ღონისძიების ჩატარების დროს. ეხლა შევექმენით დახურული ჯგუფი 14-29 წლამდე, სადაც ვეკითხები ხოლმე თუ რა ფილმი ვაჩვენო და ა.შ. ნაკლებად აქტიური ახალგაზრდების ჩართვა აქტივობებში ძალიან გვიჭირს. ვცდილობ, რომ დავიახლოვო, მაქსიმალურად ჩავრთო.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები

რაც შეეხება თავად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, უფრო მეტი კომუნიკაცია და მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდებთან, ექსპურსიებისა და ბანაკების დაგეგმვა, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ სამომავლო ნაბიჯების დასაგეგმად ბიუჯეტიდან თანხების მობილიზებაც იქნება საჭირო, ამ ეტაპზე კი მიზანს, ახალგაზრდებთან შეხვედრათა ციკლის დასრულება და მათგან ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. რაც

შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო გეგმებს, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ მათ ჯერ კონკრეტული სამომავლო გეგმა არ აქვთ შემუშავებული, ხოლო მეორე ორგანიზაციის წარმომადგენლის მიხედვით, გეგმავენ კონკრეტულ აქტივობას - საზაფხულო კინოთეატრს, რომელმაც ახალგაზრდებში მოწონება დაიმსახურა და რომელსაც აპირებენ, რომ პროექტის სახე მისცენ. მათი გეგმით, აღნიშნული პროექტი სხვადასხვა სოფელში განხორციელდება და საზაფხულო მოძრავი კინოთეატრი მოეწყობა. გარდა ამისა, აქტივობების განხორციელება ინტეგრაციის მიმართულებითაც სურთ.

„აღბათ ჩემზე იქნება დამოკიდებული, რომ მაქსიმალურად გავააქტიურო. სრული ჩართულობისთვის ისევ თანხებთან მივდივარ იმიტომ, რომ ბიუჯეტი გვჭირდება რაღაც დონეზე. ჩემი სახსრებით ნაყიდი ყავა იქნება ეს თუ პოპკორნი ოდესღაც შეიძლება შეწყდეს ჩემი მხრიდან. ჩემი აზრით, უფრო მეტი აქტიურობა დამჭირდება, უფრო მეტად ჩართვა რაღაც პროცესებში. უნდა გავაკეთოთ ექსკურსიები, ბანაკი. ჩემი ხშირი კონტაქტი ახალგაზრდებთან და სიახლეების შეტანა იქნება საჭირო... ამ ეტაპისთვის ჩემი მთავარი მიზანი არის, რომ ყველა სოფლის ახალგაზრდას შევხვდე, შემდეგ უკვე გადავალ უშუალოდ მოქმედებებზე და ძალიან მინდა, საბოლოოდ ყველა ახალგაზრდა ერთად შევკრიბო და კარგი დღე მოვუწყო, თუნდაც გასვლითი.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

„სიმართლე გითხრათ გვინდა, უფრო მეტი ჩართულობა ახალგაზრდების მხრიდან და ჩვენი ჩართულობაც. გვინდა, რომ უფრო მეტად გავააქტიურდეთ ჩვენც... ვგეგმავთ საზაფხულო კინოთეატრის მოწყობას. კიდევ რამდენიმე იდეა გვაქვს ინტეგრაციასთან დაკავშირებით. როგორც გითხარით, წელს გვქონდა საზაფხულო კინოთეატრი, ისეთი გამოხმაურება მოყვა და დიდი იყო მოწონება და მოთხოვნა. უმეტესობა გვთხოვდა, მათთანაც ჩავსულიყავით, ამიტომ გადავწყვიტეთ, მივცეთ პროექტის სახე. ეს აქამდე იყო ერთუზიანზე, მე და ჩემი მეგობარი ჩავდიოდით უბრალოდ. ეხლა უკვე ვფიქრობთ, მოვამზადოთ პროექტი და საზაფხულო მოძრავი კინოთეატრი მოვაწყოთ.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს დადებითი მოლოდინები გააჩნია მუნიციპალიტეტის საქმიანობის მიმართ და იმედოვნებენ, რომ აღნიშნული კვლევის შედეგებს სათანადო რეაგირება მოჰყვება და ახალგაზრდების აზრი გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებში.

"ჩემი აზრით, მუნიციპალიტეტი რაღაც სივრცეს გამოყოფს, ისეთს რომ შევძლებთ ახალგაზრდები ერთად შეკრებას და თუნდაც ბიბლიოთეკის მოწყობას.“ (ქალი, 17 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

"ჩემი აზრით, ეს კვლევა შეცვლის იმას რომ, შეიძლება, ბევრი რაღაც ვერა, მაგრამ რაღაც მაინც გააკეთოს მუნიციპალიტეტმა და გაითვალისწინოს ჩვენი აზრი.“ (ქალი, 15 წლის, ქალაქი დმანისი, დმანისის მუნიციპალიტეტი)

დასკვნა

დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე მუშაობენ. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებს სთხოვეს, ესაუბრათ დმანისის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, პრობლემური საკითხებია: უმუშევრობა და განათლების ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტირების პრობლემა, ახალგაზრდების მუნიციპალიტეტიდან გადინების, მიგრაციის პრობლემა, გასართობი ადგილების ნაკლებობა, სავარჯიშო სივრცეების არარსებობა, ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის არარსებობა, სადაც შეკრებასა და მსჯელობას და/ან მეცადინეობას შეძლებენ. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემა, მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი და მედიცინის მუშაკების არაკვალიფიციურობა.

საინტერესოა, რომ არასრულწლოვანი მონაწილეების ძირითადი ნაწილი, ფიქრობს, რომ ახალგაზრდების პრობლემები განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. რესპონდენტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის გამოწვევაა განათლების მიღება, რადგან მათმა ნაწილმა ქართული ენა სათანადოდ არ იცის. გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი ადრეული ქორწინების ტრადიციას მისდევს, რაც მათი აზრით, აზარალებს ახალგაზრდებს. სრულწლოვანი რესპონდენტების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ პრობლემები განსხვავდება ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, არსებობს ისეთი პრობლემები, რომელიც ნაკლებად აწუხებს 15 წლამდე ახალგაზრდებს, მაგალითად, უმუშევრობა.

ახალგაზრდებს ზემოთხსენებული გამოწვევების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მუნიციპალიტეტის როლი ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების გამკლავებაში დიდია. მონაწილეების ძირითადი ნაწილის აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, იზრუნოს ახალგაზრდა თაობისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე, გამოყოს ისეთი სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, მსჯელობას და/ან გართობას. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს, მათი აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა დანიშნოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, აღჭურვოს არსებული კლინიკა ახალი ტექნიკით და უზრუნველყოს მედპერსონალის გადამზადება. გარდა ამისა, გამოითქვა მოსაზრებები, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას გასართობი და სპორტული სივრცეებიც.

რაც შეეხება არასამთავრობო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების აზრს, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევაა ინფორმაციისა და სიახლეების მიღება. მისი თქმით, ახალგაზრდები არ არიან აქტიურები, საინფორმაციო შეხვედრების დროს ნაკლებად ერთგებიან განხილვებში. გარდა ამისა, გამოწვევაა უმუშევრობის დაძლევა და ინფრასტრუქტურული საკითხები - ახალგაზრდებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და კინოთეატრის ფუნქციონირება

სჭირდებათ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემაც არსებობს. ასევე, მერიის წარმომადგენლის თქმით, გამოწვევაა განათლების ხელმისაწვდომობაც, რის გამოც ახალგაზრდები დედაქალაქში მიდიან და უკან აღარ ბრუნდებიან. რესპონდენტის თქმით, მოსახლეობის ეთნიკურად აზერბაიჯანულ ნაწილში შეინიშნება განათლების მიღებისადმი ნაკლები ინტერესი და ნაადრევი ქორწინების ფაქტებიც. რესპონდენტის განცხადებით, გამოწვევები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვითაც. მისი თქმით, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს განსხვავებული საჭიროებები უდგათ, როგორცაა მაგალითად, სოფელში აფთიაქის ფუნქციონირება, მაშინ როცა ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდას მგავსი საკითხი არ აწუხებს. ასევე, სოფლებში განათლებაზე ხელმისაწვდომობაც ნაკლებია. რესპონდენტის თქმით, სოფლებს გარკვეულწილად ტრანსპორტირების პრობლემაც აწუხებს. ტრანსპორტირების პრობლემას გამოყოფს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც და ამბობს, რომ ყველა სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის. კვლევაში მონაწილე ორივე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ასევე ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობის შემთხვევაში კვლავ გამოწვევად რჩება ნაადრევი ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხი და გოგოებისთვის აქტივობებში ჩართულობის ნების შეზღუდვა. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემასა და არსებულ ენობრივ ბარიერს.

არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითად ნაწილს სმენია, დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს არის მორგებული. არასრულწლოვანთა ჯგუფი იხსენებს, გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ აქტივობებსა და გასართობ ღონისძიებებს. ერთ-ერთი მონაწილე კი ეთნიკურ უმცირესობებზე მორგებულ პროგრამებზეც საუბრობს. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეებს, ჯგუფის მცირე ნაწილს სმენია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებაზე მორგებული პროექტების შესახებ. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული აქტივობების შესახებ სმენია, თუმცა ტრანსპორტირების პრობლემის გამო აქტივობებში ჩართულობა მისთვის რთულია. რაც შეეხება კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ინფორმირებულობას არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, მათი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ევროპელების“ შესახებ საუბრობს და აღნიშნავენ, რომ ორგანიზაცია ინტელექტუალურ და სპორტულ ღონისძიებებს სთავაზობს ახალგაზრდებს, ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებისთვის განათლების მიღების წახალისებას.

თავის მხრივ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პროგრამებსა და აქტივობებზე ისაუბრეს, რასაც ახალგაზრდებს სთავაზობენ. ზოგადად, კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად არაფორმალური განათლების მიღებასა და ინტეგრაციის მხარდამჭერ პროექტებს სთავაზობენ ახალგაზრდებს. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიხედვით, ახალგაზრდებს სხვადასხვა თემაზე ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებსა (ვორკშოფებს) და სემინარებს სთავაზობენ. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, გასართობ აქტივობებსაც აწყობენ ხოლმე ახალგაზრდებისთვის, მაგალითად, კინოჩვენებას. რაც

შეეხება ინფორმაციის გავრცელებას აქტივობების შესახებ, რესპონდენტები მიმართავენ, როგორც ონლაინ გავრცელების გზებს, ისე ინფორმაციის მიწოდებას სკოლებისა და მერიისთვის. ერთ-ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში ინფორმაციას რესურსცენტრსაც აწვდიან, ხოლო მეორე ორგანიზაციის შემთხვევაში სანაცნობო წრეებს, მათ შორის მოხალისეებს. მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების საჭიროებებს ითვალისწინებენ, ძირითად შემთხვევებში ინფორმაციას ახალგაზრდებთან პირისპირ შეხვედრებისას იღებენ. ერთ-ერთი რესპონდენტი კი აღნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის წინ ჩაუტარებიათ ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. როგორც ორგანიზაციების წარმომადგენლების საუბრიდან გამოიკვეთა პროექტების შეფასების მექანიზმი შემუშავებული არ აქვთ.

რაც შეეხება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს, როგორც გასართობ, ისე საგანმანათლებლო პროექტებს. რესპონდენტის თქმით, ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ უფასოდ ისწავლონ ინგლისური და ქართული ენები. გარდა ამისა, არსებობს კულტურული ცენტრიც, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ჩართული არიან კულტურულ აქტივობებში. რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდების სოფლებიდან ტრანსპორტირებას სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში, მაგალითად, სპორტსკოლაში, სამუსიკო სკოლაში და სხვა ტიპის წრეებში. გარდა ამისა, მერიის წარმომადგენლის განცხადებით, მსგავსი წრეები უფასოა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის. რაც შეეხება გასართობ აქტივობებს, რესპონდენტის თქმით, ეწყობა შემეცნებითი ფილმების ჩვენება და ტარდება ხოლმე კონცერტები. მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ინფორმაციას აქტივობების შესახებ სოციალური ქსელების გამოყენებითა და ახალგაზრდებთან შეხვედრებით ავრცელებენ. ახალგაზრდებთან შეხვედრები ასევე ეხმარება მუნიციპალიტეტს, რომ გაიგონ მათი საჭიროებები და დაგეგმონ შესაბამისი აქტივობები.

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, თუ რამდენად არიან ახალგაზრდები ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. მხოლოდ ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ერთხელ მოეწყო შეხვედრა ქალაქის მერთან და ახალგაზრდებთან ერთად განიხილეს არსებული პრობლემები. ასევე, ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდული საკრებულოს წევრი იყო, თუმცა აღნიშნული აქტივობა უშედეგო აღმოჩნდა. ახალგაზრდების ნაწილი ამბობს, რომ ახალგაზრდებს მოტივაცია არ აქვთ, რომ ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, უნდა ეწყობოდეს შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის, რათა ისაუბრონ პრობლემებზე და გაცვალონ იდეები.

იმავე აზრს ავითარებს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლი. რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდები არ არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, თუმცა რესპონდენტი განმარტავს, რომ ცდილობს, ახალგაზრდები ჩართოს სხვადასხვა აქტივობის

დაგეგმვაში და გაიგოს მათი მოსაზრებები. აქვე აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით რთული აქტივობებში პასიური ახალგაზრდების ჩართვაა.

რაც შეეხება თავად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, უფრო მეტი კომუნიკაცია და მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდებთან, ექსკურსიებისა და ბანაკების დაგეგმვა, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ სამომავლო ნაბიჯების დასაგეგმად ბიუჯეტიდან თანხების მობილიზებაც იქნება საჭირო, ამ ეტაპზე კი მიზანს, ახალგაზრდებთან დაგეგმილი შეხვედრების დასრულება და მათგან ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო გეგმებს, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ მათ ჯერ კონკრეტული სამომავლო გეგმა არ აქვთ შემუშავებული, ხოლო მეორე ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ გეგმავენ კონკრეტულ აქტივობას - საზაფხულო მოძრავი კინოთეატრის პროექტის განხორციელებას, რომელმაც ახალგაზრდებში მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა, ინტეგრაციის მიმართულებით სურთ აქტივობების განხორციელება.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს დადებითი მოლოდინები გააჩნია მუნიციპალიტეტის საქმიანობის მიმართ და იმედოვნებენ, რომ აღნიშნული კვლევის შედეგებს სათანადო რეაგირება მოჰყვება და ახალგაზრდების აზრი გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებში.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

დმანისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 278 ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს. მათგან 81 ახალგაზრდა (29%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 129 ახალგაზრდა (46%) - 18-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 26-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 68 ახალგაზრდაა (24%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 52% - მდებარეობითი სქესის, ხოლო 46% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, 2%-მა კი არ ისურვა სქესის მითითება (იხ. დანართი, ცხრილი 2). გამოკითხულთა უმრავლესობა (59%) ქალაქ დმანისში ცხოვრობს, მესამედზე მეტი (39%) - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ხოლო 1% - დაბის ტიპის დასახლებაში (იხ. დანართი, ცხრილი 3).

დმანისში გამოკითხული ახალგაზრდების 28% სკოლის მოსწავლეა, დაახლოებით მეოთხედი (23%) კი სტუდენტია (უნივერსიტეტის სტუდენტი - 20%, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი - 3%). რესპონდენტების 31% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი უკვე დაასრულა, ხოლო 7%-ს მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული (იხ. დანართი, ცხრილი 20).

გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (73%) და არ ჰყავს შვილი (79%). რესპონდენტთა უმრავლესობა (84%) თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს. ხოლო 13% ეთნიკურ აზერბაიჯანელად (იხ. დანართი, ცხრილი 84, 86 და 88).

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება

კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ თავიანთ სამოქალაქო აქტიურობას, გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მცირედით ნაკლები (31%) ამბობს, რომ აქტიურია (ძალიან აქტიური ან აქტიური), მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს გამოკითხულთა 36%, ხოლო 33% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური (იხ. დანართი, ცხრილი 53).


მათგან, ვინც აცხადებს, რომ არის აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით, 44% ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, 19% აცხადებს, რომ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, 17% აცხადებს, რომ მოუსმენია მერის მიერ მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. სხვა პასუხები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

რაში გამოიხატება თქვენი სამოქალაქო აქტიურობა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახლგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. გამოკითხული ახალგაზრდების 32% ამბობს, რომ დაინტერესებულია, ხოლო 5%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (იხ. დანართი, ცხრილი 49). კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (72%), რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო (69%), ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (იხ. დანართი, ცხრილი 51).


ზოგადად, რესპონდენტთა 20% ფიქრობს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. 30%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში, ხოლო ნახევარი - 50% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულია (იხ. დანართი, ცხრილი 52).

კვლევისთვის საინტერესო იყო ახალგაზრდების დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური თუ საჯარო ინსტიტუტის მიმართ, რისთვისაც ახალგაზრდებს სთხოვეს, მოენიშნათ არაუმეტეს 5 ინსტიტუტისა, რომელსაც ენდობიან. ყველაზე ხშირად

გამოკითხული ახალგაზრდები ნდობას ადგილობრივ მთავრობას (37%), საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას (33%) და საქართველოს მთავრობას (33%) უცხადებენ. სხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობა კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 2

რომელ პოლიტიკურ, საჯარო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს ენდობით ყველაზე მეტად? (%) შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 5 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ამ პროგრამებსა და სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხებს. როგორც ჩანს, დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით (74%) და ადგილობრივ ხელისუფლებისგან (42%) იღებენ, ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე, ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (29%) და ტელევიზია (19%). ყველაზე ნაკლებად რესპონდენტები ინფორმაციას ბეჭდური მედიისა (2%) და რადიო ან პოდკასტის საშუალებით იღებენ (1%). ხოლო, გამოკითხულთა 3% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას (იხ. დანართი, ცხრილი 55).

გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 11% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ინტენსიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან

დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენჯერმე მიიღო მსგავს აქტივობაში მონაწილეობა 21%-მა, ერთხელ მიიღო მონაწილეობა 6%-მა, ხოლო არ მიუღია მონაწილეობა 62%-ს (იხ. დანართი, ცხრილი 56). მათგან, ვინც აცხადებს, რომ არ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 43%-ს 18-25 წლის ახალგაზრდები წარმოადგენს, 28%-28%-ს კი 14-17 წლისა და 26-29 წლის ახალგაზრდები შეადგენს.

რაც შეეხება იმის მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთვნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხული ახალგაზრდების 36% ამბობს, რომ არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, ხოლო 20% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია (იხ. დანართი, ცხრილი 57_1 და ცხრილი 57_8).

რაც შეეხება ჩართულობის ხარისხს, იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდები ჩაერთვნენ ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში (38%), 52% ამბობს, რომ აქტიურად იყო ჩართული, ხოლო 48% ამბობს, რომ ჰკითხეს აზრი, 46%-ის განცხადებით, ინფორმაცია მიაწოდეს. 10% კი თვლის, რომ მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (იხ. დანართი, ცხრილი 58_1 - ცხრილი 58_6).

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (56%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. 35%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამის შესახებ, ხოლო 10%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამის შესახებ. მათგან ვისაც მსგავს პროგრამაში/პროგრამებში მიუღია მონაწილეობა უმრავლესობა (78%) დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს (ძალიან დადებითად - 23%, დადებითად - 55%) (იხ. დანართი, ცხრილი 14 და ცხრილი 15).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს დმანისის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედს (21%) მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო უმრავლესობას (79%) - არა (იხ. დანართი, ცხრილი 17).

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

დმანისში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (68%) კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. დაახლოებით მეხუთედი (22%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და მათ მიერ მიღებული განათლების ხარისხს საშუალოდ აფასებს, უკმაყოფილებას (უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილო) კი მხოლოდ 10% გამოთქვამს (იხ. დანართი, ცხრილი 21).

რაც შეეხება ახალგაზრდების მიერ უცხო ენის ცოდნას, ნახევარზე ნაკლები ამბობს, რომ ფლობს ერთ უცხო ენას მაინც (47%) - ყველაზე ხშირად კი ინგლისურ ენას (68%). საინტერესოა, რომ გამოკითხულთაგან ეთნიკური უმცირესობის ის წარმომადგენლები,

რომლებიც ამბობენ, ერთ უცხო ენას მაინც ფლობენ (16%), მათი ძირითადი ნაწილი (85%) ამბობს, რომ ქართულ ენას ფლობს. (იხ. დანართი, ცხრილი 22, ცხრილი 23_1 - ცხრილი 23_6).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, ახალგაზრდების ჩართულობა უწყვეტ განათლებაში. გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (41%) აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (61%) ამბობს, რომ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, 27% ამბობს, რომ რამდენჯერმე ყოფილა, ხოლო 12% ამბობს, რომ ბევრჯერ მომხდარა მსგავსი შემთხვევა (იხ. დანართი, ცხრილი 24 და ცხრილი 25). მათგან ვინც ამბობს, რომ სურდა დასწრება ტრენინგზე, მაგრამ ხელი შეეშალა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის არქონას (50%), ინფორმაციის არქონასა (22%) და საჭირო თანხის არქონას (17%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 26_1 - ცხრილი 26_6).

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (57%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს (იხ. დანართი, ცხრილი 27), მაგრამ რესპონდენტთა უმრავლესობა პროფესიულ განათლებასა (65%) და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას (70%) პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 79_3 და ცხრილი 79_4)³. საინტერესოა, რომ პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურად უფრო მეტი 26-29 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (81%) და ინტერნეტთან (88%) ყოველდღიურად აქვს. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი (76%) თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია (იხ. დანართი, ცხრილი 28, 29 და 30). ზოგადად, მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სწავლის მიზნით (64%), სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (59%), გასართობად (57%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ (56%) (იხ. დანართი, ცხრილი 31_1 - ცხრილი 31_7).


დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის ინტერესის საგანს დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის ახალგაზრდების მცირე წილი - 1% დასაქმებულია, 9% ეძებს სამუშაოს, ხოლო 90% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, თითქმის ნახევარი (47%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (32%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 41% ეძებს სამსახურს, 27% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ

³ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

ცდილობს. 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (75%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მეხუთედი (21%) სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 39% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 46% - კერძო ორგანიზაციაში (იხ. დანართი, ცხრილი 40_1 - ცხრილი 40_8). დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა სრულ განაკვეთზე მუშაობს (66%), ასევე უმრავლესობაა ხელშეკრულებით დასაქმებული (79%). სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა (65%) საშუალოდ კვირაში 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო 35% კვირაში საშუალოდ 42-დან 100 საათამდე მუშაობს (იხ. დანართი, ცხრილი 44).


დასაქმებული სრულწლოვანი გამოკითხულების უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით, 15% კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი სამუშაოსადმი. გამოკითხული ახალგაზრდების 9% ამბობს, რომ სამსახურით უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 45).

რაც შეეხება გამოკითხულ სრულწლოვან ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (53%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას (23%), დასაქმების სერვისების არარსებობასა (17%) და ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობას (16%), ასახელებენ (იხ. დიაგრამა 4). კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (56%) და სტაჟირების შესაძლებლობა (50%) დაასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 48_1 - ცხრილი 48_8).

დიაგრამა 4

რა არის თქვენი უმუშევრობის ძირითადი მიზეზი? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების საკითხი (70%), სამუშაო ადგილის უსაფრთხოება (69%) და სამუშაოს სტაბილურობა (69%) მათთვის პრობლემური საკითხებია (იხ. დანართი, ცხრილი 79_5, 79_6 და 79_7)⁴. საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ აღნიშნულ საკითხებს, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდები.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) ამბობს, რომ მათთვის საკმარისი რაოდენობის ფინანსების არქონა პრობლემურია. დაახლოებით მეოთხედისთვის (24%) - ნაკლებად პრობლემური, ხოლო 13% აღნიშნულ საკითხს საშუალოდ პრობლემურად აფასებს (იხ. დანართი, ცხრილი 79_2)⁵. რესპონდენტთა უმრავლესობა (68%) ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხსაც პრობლემურად მიიჩნევს, 18% - ნაკლებად პრობლემურად,

⁴ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

⁵ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

ხოლო 14%-ისთვის საშუალოდ პრობლემურია (იხ. დანართი, ცხრილი 79_3)⁶. საინტერესოა, რომ 14-17 წლის რესპონდენტები სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებს ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ.


გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად, რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (71%), კითხულობენ წიგნს (41%) და უსმენენ მუსიკას (42%). სხვა ტიპის აქტივობები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

ჩამოთვლილთაგან, ყველაზე ხშირად, რომელ აქტივობებს ახორციელებთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 7 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

⁶ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

კითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების 25% პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. კმაყოფილებას (კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილი) რესპონდენტთა 42% გამოთქვამს, მესამედზე მცირედით მეტი (35%) კი ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს და აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების მდგომარეობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 7). ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (61%) თვლის, რომ დასვენება მათთვის პრობლემურია, დაახლოებით მეოთხედი (24%) მეტ-ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევს, ხოლო 15% - ნაკლებად პრობლემურად. გარდა ამისა, გამოკითხულთა 59% თვლის, რომ გართობა პრობლემური საკითხია, დაახლოებით მეოთხედი (24%) საკითხს მეტ-ნაკლებად პრობლემურად აფასებს, ხოლო 17% - ნაკლებად პრობლემურად (იხ. დანართი, ცხრილი 79_15 და ცხრილი 79_16)⁷.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებს, კმაყოფილებას გამოკითხული ახალგაზრდების 52% გამოთქვამს, უკმაყოფილებას კი - 14%. გამოკითხული ახალგაზრდების 34% ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს და დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა. (იხ. დანართი, ცხრილი 8).


კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის, (44%) ახალგაზრდობის კლუბისა (41%) და ბანაკების (35%) არსებობა სურთ. ასევე, ხშირად დასახელდა ატრაქციონების პარკის (25%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება. აღსანიშნავია, რომ ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე 26-29 წლის გამოკითხულთათვის, ასევე, ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 26-29 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 6).

⁷ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

დიაგრამა 6

დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 3 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 54%-ის თქმით, დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. მეხუთედი (20%) კი საპირისპიროს ამბობს, ხოლო 26%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 10). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (59%) და ყველაზე ხშირად პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და დასაგეგმად (39%) გამოუყენებია, ხოლო მეხუთედს (20%) - მეგობრებთან შესახვედრად და გასართობად. რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ფიზიკური სივრცის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლიათ სივრცით (8%), ყველაზე ხშირად არსარგებლობის მიზეზად აღნიშნული სივრცის საცხოვრისიდან შორს მდებარეობას (17%) და სივრცის არასათანადო აღჭურვილობას/არაკომფორტულობას ასახელებენ (17%) (იხ. დანართი, ცხრილი 11, 12 და 13).


მოხალისეობა

გამოკითხული ახალგაზრდების მესამედი (33%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში⁸. მხოლოდ 1% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საზღვარგარეთ, ხოლო უმრავლესობის - 63%-ის განცხადებით არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 59).

დიაგრამა 7

გასული 12 თვის განმავლობაში მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

მათგან, ვინც ამბობს, რომ მიუღია გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (37%), 54% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედი (19%) აცხადებს, რომ ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 7% - კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. (იხ. დანართი, ცხრილი 60).

რაც შეეხება მოხალისეობის სიხშირეს, გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (32%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული იყო წელიწადში ერთხელ ან რამდენჯერმე, გამოკითხულთა

⁸ მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

29%-ის განცხადებით, ამ საქმიანობით დაკავებული იყო თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე, 22% - კვირაში ერთხელ (იხ. დანართი, ცხრილი 61).

მოხალისეობის მოტივად რესპონდენტთა უმრავლესობამ (75%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 37%-მა - სიახლეების სწავლა, 36%-მა ახალი ადამიანების გაცნობა, 34%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, ხოლო 31%-მა - თავისუფალი დროის სასარგებლო საქმეებისთვის დახარჯვა (იხ. დანართი, ცხრილი 62_1 - ცხრილი 62_7).


ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (63%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 27% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის საკმარისი დრო, 5%-ს არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში. 10%-ის განცხადებით კი არ აქვს კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში გასული 12 თვის განმავლობაში (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8

რა ფაქტორის/ფაქტორების გამო ვერ/არ მოხალისეობთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.


სპორტული აქტივობები

დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ყოველი მეხუთე ახალგაზრდა (20%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 48%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა 49%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ დაასახელეს ცურვა (12%) და ფრენბურთი (8%) (იხ. დანართი, ცხრილი 67 და ცხრილი 68). იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად სურვილის არარსებობას (50%) და არასაკმარის დროს (27%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9

დაასახელეთ მიზეზი, რატომ არ აქტიურობთ ფიზიკურად (ვარჯიში, სპორტი ან სხვა) (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა - 82% აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, 76%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, 91% ამბობს, რომ არ მოიხმარს მარიხუანას, ხოლო 87% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 69, 70 და 71). მამრობითი სქესის წარმომადგენელთა 40% აღნიშნავს, რომ მოიხმარს ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მაინც, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 9% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 70a).

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით მეტი (53%) აცხადებს, რომ ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი ეწევა სიგარეტს, ასევე უმრავლესობა (63%) აცხადებს, რომ ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 72_1 და ცხრილი 72_3).

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი მეგობრების ნაწილი ან ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (76%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (81%) (იხ. დანართი, ცხრილი 72_2 და ცხრილი 72_4).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხული ახალგაზრდების 49% აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა, მათ შორის 14-17 წლის ახალგაზრდების 41%, 18-25 წლის ახალგაზრდების 54% და 26-29 წლის ახალგაზრდების 50% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 74). შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) აცხადებს, რომ პრობლემურია, მათ შორის, 55%-ის პროცენტის აზრით, ძალიან პრობლემურია. ახალგაზრდების მხოლოდ 12% ფიქრობს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არ არის პრობლემური (იხ. დანართი, ცხრილი 79_8). მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა 74% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (იხ. დანართი, ცხრილი 75). ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ამის მიზეზად 31% ასახელებს, რომ ექიმისთვის მიმართვა საჭიროდ არ მიიჩნია, ხოლო 25%-ის განცხადებით, მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა (იხ. დანართი, ცხრილი 76_1 - ცხრილი 76_6).

გამოკითხული ახალგაზრდების 85% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის. ისინი, ვინც ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, ამის მიზეზად 50% ამბობს, რომ არ იცოდა ვისთვის მიემართა, ხოლო 38%-ის განცხადებით, მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა (იხ. დანართი, ცხრილი 77, ცხრილი 78_1 და ცხრილი 78_6).


მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (61%) აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 14%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 26%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა 10). მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები დასაქმების შესაძლებლობას (22%), საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა (16%) და განათლების მიღებას (15%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 81).

დიაგრამა 10

გსურთ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით




შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ არ სურს ქვეყნიდან წასვლა (იხ. დიაგრამა 11). ისინი, ვინც ამბობს, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა (13%), ამის მიზეზად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (21%), უკეთესი განათლების (16%) და დასაქმების (13%) შესაძლებლობას ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 83_1 - ცხრილი 83_9). ამასთანავე, რესპონდენტთა 28% ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაციას ნაკლებად პრობლემურ საკითხად მიიჩნევს, ხოლო ახალგაზრდების 49%-ს ეს საკითხი პრობლემად მიაჩნია (იხ. დანართი, ცხრილი 79_20).

დიაგრამა 11

გსურთ თუ არა თქვენი ქვეყნიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ ძალიან აქტიური, აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური მოქალაქეა. მათი აქტიურობა კი ყველაზე ხშირად სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში მონაწილეობის მიღებაში გამოიხატება. მეოთხედზე ნაკლები აცხადებს, რომ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი და მოუსმენიათ მერის მიერ მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

ზოგადად, ყოველი მეორე გამოკითხული ახალგაზრდა ფიქრობს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია, ხოლო 30%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული. რესპონდენტები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით და ადგილობრივი ხელისუფლებისგან იღებენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების

მიღების პროცესში. მონაწილეობის არმიღების მთავარ მიზეზად არაინფორმირებულობა და ახალგაზრდებისთვის არასაინტერესო ღონისძიებები დასახელდა.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, გამოკითხულთა ნახევარზე მეტს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში და მათი უმრავლესობა დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს. ხოლო ყოველ მეხუთე გამოკითხულ ახალგაზრდას თავად მიუმართვს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის/ინიციატივის განხორციელების მიზნით.

რაც შეეხება ახალგაზრდების განათლების საკითხებს, დმანისში მცხოვრები გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. უმრავლესობა მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს, თუმცა გამოკითხული ახალგაზრდების ასევე უმრავლესობა პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს. საინტერესოა, რომ პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურად უფრო მეტი 26-29 წლის ახალგაზრდა მიიჩნევს, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდა.

გამოკითხული ახალგაზრდების 41% ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, მესამედზე მეტი - 39% ამბობს, რომ მომხდარა მსგავსი შემთხვევა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის, ინფორმაციისა და საჭირო თანხის არქონა სახელდება.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან ყოველდღიურად აქვს. რესპონდენტების ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია. ზოგადად, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით, სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად, გასართობად და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ.

კვლევა დმანისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დასაქმების საკითხებსაც სწავლობდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი დასაქმებული არაა და მათი უმრავლესობა ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, თითქმის ყოველი მესამე 18-25 წლის ახალგაზრდა ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო 41% ეძებს სამუშაოს. რაც შეეხება 26-29 წლის რესპონდენტებს, მათი უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმებულია.

დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 39% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 46% - კერძო ორგანიზაციაში. გამოკითხულთა უმრავლესობა სრულ

განაკვეთზეა დასაქმებული და კვირაში, საშუალოდ, 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო მესამედზე მცირედით მეტი (35%) კვირაში, საშუალოდ, 42სთ-დან 100 საათამდე მუშაობს. დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით.

რაც შეეხება სრულწლოვან რესპონდენტებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (53%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას, დასაქმების სერვისების არარსებობასა და ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებენ.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების საკითხი, სამუშაო ადგილის უსაფრთხოება და სამუშაოს სტაბილურობა მათთვის პრობლემური საკითხებია. საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ აღნიშნულ საკითხებს, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდები. კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და სტაჟირების შესაძლებლობა დაასახელეს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხს პრობლემურად მიიჩნევს. საინტერესოა, რომ 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდები სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებს ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ.

კვლევა ასევე სწავლობდა იმას, თუ ძირითადად რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ, კითხულობენ წიგნს და უსმენენ მუსიკას. კითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, ყოველი მეხუთე გამოკითხული ახალგაზრდა პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით კმაყოფილებას, გამოკითხული ახალგაზრდების 52% გამოთქვამს კმაყოფილებას. დმანისის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის, ახალგაზრდობის კლუბისა და ბანაკების ფუნქციონირება სურთ. ასევე მეოთხედმა დაასახელა ატრაქციონების პარკის არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე 26-29 წლის გამოკითხულთათვის, ასევე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 26-29 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 14-17 წლის ახალგაზრდები.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. დაახლოებით ყოველი მესამე გამოკითხული ახალგაზრდა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში.

მოხალისეობის მთავარ მოტივად ახალგაზრდების უმრავლესობამ სხვების დახმარების სურვილი დაასახელა. ასევე, მესამედზე მეტმა სიახლეების სწავლა და ახალი ადამიანების გაცნობა დაასახელა.

ის რესპონდენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (63%), ყველაზე ხშირად ამის მიზეზად დროის არქონას ასახელებენ.

კვლევის ინტერესის საგანს ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობაც წარმოადგენდა. გამოკითხული ახალგაზრდების მეხუთედი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (48%) კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. ზოგადად, რესპონდენტების 49%-ს სურვილი აქვს ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ ცურვა და ფრენბურთი დაასახელეს. იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად, ყველაზე ხშირად, სურვილის არარსებობასა და არასაკმარის დროს ასახელებენ.

რაც შეეხება მავნე ნივთიერებებისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებას, გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, არ მოიხმარს ალკოჰოლს, არ მოიხმარს მარიხუანას და არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს ალკოჰოლს. მამრობითი სქესის წარმომადგენლების 40% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მაინც მოიხმარს, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 9% აცხადებს იმავეს.

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. თითქმის ყოველი მეორე გამოკითხული ახალგაზრდა აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა. შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ პრობლემურია. ასევე, უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ხოლო ვისაც დასჭირდა, მაგრამ ვერ მიმართეს, ამის მთავარ მიზეზად ექიმისთვის მიმართვის არასაჭიროებასა და მომსახურების სიძვირეს/საკმარისი თანხის არქონას ასახელებს. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის, ხოლო ვისაც დასჭირდა, მაგრამ ვერ მიმართეს, ყველაზე ხშირად მიზეზად მომსახურების შესახებ არაინფორმირებულობასა და მომსახურების სიძვირეს/საკმარისი თანხის არ ქონას ასახელებენ.

რაც შეეხება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 14%-ის განცხადებით, სურს

მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 26%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ახალგაზრდები მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად დასაქმების შესაძლებლობას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და განათლების მიღებას ასახელებენ. ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ ქვეყნიდან წასვლა არ სურს. ისინი, ვინც ამბობენ, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა, ამის მიზეზად იმავე ფაქტორებს - ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, უკეთესი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობას ასახელებენ.

დანართი

1. ასაკი (%)		
14-17 წელი	სიხშირე	81
	%	29.1%
18-25 წელი	სიხშირე	129
	%	46.4%
26-29 წელი	სიხშირე	68
	%	24.5%
სულ	სიხშირე	278
	%	100%

2. სქესი (%)					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ მსურს მითითება	სიხშირე	1	4	1	6
	%	1.2%	3.1%	1.5%	2.2%
მდედრობითი	სიხშირე	46	63	36	145
	%	56.8%	48.8%	52.9%	52.2%
მამრობითი	სიხშირე	34	62	31	127
	%	42.0%	48.1%	45.6%	45.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

3. დასახლების ტიპი (%)					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
სოფელი	სიხშირე	39	56	16	111
	%	48.1%	43.4%	23.5%	39.9%
დაბა	სიხშირე	2	1	0	3
	%	2.5%	.8%	0.0%	1.1%
ქალაქი	სიხშირე	40	72	52	164
	%	49.4%	55.8%	76.5%	59.0%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4. მუნიციპალიტეტი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
დმანისი	სიხშირე	81	129	68	278

	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
--	---	--------	--------	--------	--------

5_1. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვხვდები მეგობრებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	24	43	14	81
	%	29.6%	33.3%	20.6%	29.1%
დასახელდა	სიხშირე	57	86	54	197
	%	70.4%	66.7%	79.4%	70.9%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_2. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვთამაშობ სამაგიდო თამაშებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	77	117	63	257
	%	95.1%	90.7%	92.6%	92.4%
დასახელდა	სიხშირე	4	12	5	21
	%	4.9%	9.3%	7.4%	7.6%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_3. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვთამაშობ კომპიუტერულ თამაშებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	65	106	62	233
	%	80.2%	82.2%	91.2%	83.8%
დასახელდა	სიხშირე	16	23	6	45
	%	19.8%	17.8%	8.8%	16.2%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_4. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმოგზაურობ ქვეყნის შიგნით

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	75	107	55	237
	%	92.6%	82.9%	80.9%	85.3%
დასახელდა	სიხშირე	6	22	13	41
	%	7.4%	17.1%	19.1%	14.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_5. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმოგზაურობ საზღვარგარეთ

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	80	126	67	273
	%	98.8%	97.7%	98.5%	98.2%
დასახელდა	სიხშირე	1	3	1	5
	%	1.2%	2.3%	1.5%	1.8%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_6. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ ლაშქრობებზე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	70	100	48	218
	%	86.4%	77.5%	70.6%	78.4%
დასახელდა	სიხშირე	11	29	20	60
	%	13.6%	22.5%	29.4%	21.6%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_7. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კონცერტებზე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	68	107	50	225
	%	84.0%	82.9%	73.5%	80.9%
დასახელდა	სიხშირე	13	22	18	53
	%	16.0%	17.1%	26.5%	19.1%

სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_8. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ თეატრში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	75	115	50	240
	%	92.6%	89.1%	73.5%	86.3%
დასახელდა	სიხშირე	6	14	18	38
	%	7.4%	10.9%	26.5%	13.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_9. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კინოთეატრში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	80	124	61	265
	%	98.8%	96.1%	89.7%	95.3%
დასახელდა	სიხშირე	1	5	7	13
	%	1.2%	3.9%	10.3%	4.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_10. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმონაწილეობ გარემოსდაცვით საქმიანობაში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	74	111	53	238
	%	91.4%	86.0%	77.9%	85.6%
დასახელდა	სიხშირე	7	18	15	40
	%	8.6%	14.0%	22.1%	14.4%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_11. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვაწყობ, ან მონაწილეობას ვიღებ სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობის პროცესში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	76	111	59	246
	%	93.8%	86.0%	86.8%	88.5%
დასახელდა	სიხშირე	5	18	9	32
	%	6.2%	14.0%	13.2%	11.5%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_12. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვკითხულობ წიგნს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	45	86	33	164
	%	55.6%	66.7%	48.5%	59.0%
დასახელდა	სიხშირე	36	43	35	114
	%	44.4%	33.3%	51.5%	41.0%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_13. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვუყურებ ტელევიზორს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	64	96	45	205
	%	79.0%	74.4%	66.2%	73.7%
დასახელდა	სიხშირე	17	33	23	73
	%	21.0%	25.6%	33.8%	26.3%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_14. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვუსმენ მუსიკას

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)

არ დასახელდა	სიხშირე	52	74	35	161
	%	64.2%	57.4%	51.5%	57.9%
დასახელდა	სიხშირე	29	55	33	117
	%	35.8%	42.6%	48.5%	42.1%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_15. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დაგვიყვარ კლუბში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	80	122	67	269
	%	98.8%	94.6%	98.5%	96.8%
დასახელდა	სიხშირე	1	7	1	9
	%	1.2%	5.4%	1.5%	3.2%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_16. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დაგვიყვარ წრეებზე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	61	124	68	253
	%	75.3%	96.1%	100.0%	91.0%
დასახელდა	სიხშირე	20	5	0	25
	%	24.7%	3.9%	0.0%	9.0%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_17. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - მაქვს ბლოგი/ვლოგი ან ვარ ინფლუენსერი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	81	127	68	276
	%	100.0%	98.4%	100.0%	99.3%
დასახელდა	სიხშირე	0	2	0	2
	%	0.0%	1.6%	0.0%	.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_18. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - სხვა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	81	126	68	275
	%	100.0%	97.7%	100.0%	98.9%
დასახელდა	სიხშირე	0	3	0	3
	%	0.0%	2.3%	0.0%	1.1%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_18_oth. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - სხვა, ჩაწერეთ

		18-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
ვმუშაობ	სიხშირე	2	2
	%	66.7%	66.7%
არ გავდივარ სახლიდან	სიხშირე	1	1
	%	33.3%	33.3%
	სიხშირე	3	3
	%	100.0%	100.0%

6. რამდენად შეცვალა COVID-19-მა თქვენი ყოველდღიური ცხოვრება?

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
ძალიან შეცვალა	სიხშირე	15	27	17	59
	%	18.5%	20.9%	25.0%	21.2%
საკმაოდ შეცვალა	სიხშირე	23	32	19	74
	%	28.4%	24.8%	27.9%	26.6%
მეტ-ნაკლებად შეცვალა	სიხშირე	28	39	20	87
	%	34.6%	30.2%	29.4%	31.3%
მცირედ შეცვალა	სიხშირე	12	22	11	45
	%	14.8%	17.1%	16.2%	16.2%
არ შეუცვლია	სიხშირე	3	9	1	13
	%	3.7%	7.0%	1.5%	4.7%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

7. რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით?					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
საერთოდ არ ვარ კმაყოფილი	სიხშირე	4	6	10	20
	%	4.9%	4.7%	14.7%	7.2%
არ ვარ კმაყოფილი	სიხშირე	11	21	14	46
	%	13.6%	16.3%	20.6%	16.5%
არც კმაყოფილი ვარ და არც უკმაყოფილო	სიხშირე	29	45	22	96
	%	35.8%	34.9%	32.4%	34.5%
კმაყოფილი ვარ	სიხშირე	30	48	21	99
	%	37.0%	37.2%	30.9%	35.6%
ძალიან კმაყოფილი ვარ	სიხშირე	7	9	1	17
	%	8.6%	7.0%	1.5%	6.1%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

8. რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით?					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
საერთოდ არ ვარ კმაყოფილი	სიხშირე	1	2	3	6
	%	1.2%	1.6%	4.4%	2.2%
არ ვარ კმაყოფილი	სიხშირე	10	13	9	32
	%	12.3%	10.1%	13.2%	11.5%
არც კმაყოფილი ვარ და არც უკმაყოფილო	სიხშირე	23	47	25	95
	%	28.4%	36.4%	36.8%	34.2%
კმაყოფილი ვარ	სიხშირე	39	59	29	127
	%	48.1%	45.7%	42.6%	45.7%
ძალიან კმაყოფილი ვარ	სიხშირე	8	8	2	18
	%	9.9%	6.2%	2.9%	6.5%
სულ	სიხშირე	81	129	68	278
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

